ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 202 (1004) | შაბათი, 12 ნოემბერი, 1994 წელი | ფასი 200.000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს საზღვრების დასაცავად



11 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა რუსეთის სასაზღვრო ჯარების მთავარსარდალს გენერალ-პოლკოვნიკ ანდრეი ნიკოლაევს, როგორც რუსეთის სასაზღვრო ჯარების მთავარსარდალმა საუბრის დროს განაცხადა, პრეზიდენტ ელცინისაგან დავალებული აქვს მოინახულოს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა და შეხვდეს ამ ქვეყნის ლიდერებს, შეხვედრაზე განიხილეს რუსეთის სასაზღვრო ჯარების საქართველოში განლაგებისა და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, ისაუბრეს აგრეთვე რუსეთის სასაზღვრო ჯარების ნაწილებში ქართველი მოხალისეებისა და წვეულების სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

**სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.**

სურათზე: შეხვედრის დროს.

გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# საქართველოს მეგობარი

## თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტის წინ

პრეზიდენტი დემირელი დაიბადა 1924 წლის 1 ნოემბერს სპარტას პროვინციის შორეულ სოფელ ისლამქოიში. მშობლიურ სოფელში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა დაბითი საშუალო და საშუალო სკოლები შესაბამისად სპარტასა და აფიონში. 1949 წელს დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი.

1949 წელს მუშაობა დაიწყო თურქეთის ელექტრული კვლევისა და შესწავლის სამმართველოში. მან, როგორც ასპირანტმა, განახორციელა გამოკვლევები სარწყავებზე, ელექტრულ ტექნოლოგიებსა და კაშხალების მშენებლობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ 1949-50 წლებში, შემდეგ კი 1954-55 წლებში. სეიჰანის კაშხალის მშენებლობაზე ის მუშაობდა პროექტის ინჟინრად, ხოლო 1954 წელს დაინიშნა თურქეთის კაშხალების დეპარტამენტის უფროსად. 1955 წლიდან ის მუშაობდა სახელმწიფო ჰიდრავლიკური სამუშაოების დეპარტამენტის გენერალურ დირექტორად. მის ფუნქციებში შედიოდა ყველა კაშხალის, ელექტროსადგურისა და სარწყავი მოწყობილობების ზედამხედველობა.

სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ 1962-64 წლებში, მუშაობდა ხელშეკრულებით როგორც ინჟინერი და მრჩეველი. ამ პერიოდში იგი ამავე დროს მუშაობდა ანკარის ცენტრალური აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჰიდრავლიკური ინჟინერინგის ლექტორად.

პოლიტიკური კარიერა დაიწყო არჩევით სამართლიანობის პარტიის (სპ) გენერალურ აღმასრულებელ საბჭოში. დემირელი აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ მეორე დიდ ყრილობაზე 1964 წლის 28 ნოემბერს. მისი დახმარებით ჩამოყალიბდა კოალიციური მთავრობა, რომელიც მართავდა ქვეყანას 1965 წლის თებერვალ-ოქტომბერში პრემიერ-მინისტრის ჰაირი ურგუფლუს ხელმძღვანელობით, სადაც დემირელი პრემიერ-მინისტრის მოადგილე იყო.

დემირელის ხელმძღვანელობით სამართლიანობის პარტიამ მიიღო პრეცედენტო რაოდენობის ხმები — 53 პროცენტი 1965 წლის ოქტომბრის საყოველთაო არჩევნებში და ჩამოაყალიბა მაჟორიტარული მთავრობა.

როგორც პარტიის დეპუტატი, დემირელი გახდა თურქეთის მე-13 პრემიერ-მინისტრი და ქვეყანას 4 წელს მართავდა. მომდევნო საყოველთაო არჩევნებში 1969 წლის ოქტომბერს დემირელის სამართლიანობის პარტიამ კიდევ ერთხელ მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება და ერთადერთი გამარჯვებული გახდა. ამის შედეგად დემირელმა თურქეთის მე-14 მთავრობა ჩამოაყალიბა. თუმცა მოვლენებით პარტიისშიდა კრიზისის გამო მან კვლავ ახალი მთავრობა შექმნა.

სამხედრო მემორანდუმის საფუძველზე 1971 წლის 12 მარტს იგი გადადგა.

1971-80 წლებში დემირელი სამჯერ იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი შესაბამისად 1976. 1977 და 1979 წლებში.

1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შედეგად დემირელი რამდენიმე წლით ჩამოაშორეს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1986 წელს მან წამოიწყო ეროვნული კამპანია აკრძალვების წინააღმდეგ და ამ საკითხზე ეროვნული რეფერენდუმის ინიციატორი გახდა.

1987 წლის 6 სექტემბრის რეფერენდუმმა დემირელი აქტიურ პოლიტიკას დაუბრუნა.

დემირელი აირჩიეს ჭეშმარიტი გზის პარტიის (ჭგპ) თავმჯდომარედ პარტიის რიგგარეშე ყრილობაზე 1987 წლის 24 სექტემბერს.

1987 წლის 29 ნოემბრის საყოველთაო არჩევნებზე იგი კვლავ აირჩიეს პარტიის დეპუტატად.

მომდევნო 1991 წლის 20 ოქტომბრის საყოველთაო არჩევნებზე დემირელი კვლავ გახდა პრემიერ-მინისტრი სოციალ-დემოკრატიულ სახალხო პარტიასთან ერთად კოალიციურ მთავრობაში.

1993 წლის 16 მაისს იგი აირჩიეს თურქეთის რესპუბლიკის მე-9 პრეზიდენტად.

როგორც გენერალურმა დირექტორმა, მხოლოდ 30 წლის ასაკში და პარტიის თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა 40 წლის ასაკში, დემირელმა ყველაფერი იღონა ქვეყნის განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციისათვის. იგი კვლავაც ინარჩუნებს რეკორდს როგორც თურქეთის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი, მხოლოდ ისმეთ იმონუ იყო პრემიერ მინისტრი უფრო ადრე, ვიდრე იგი.

1964-93 წლებში დემირელი აირჩიეს პარტიის დეპუტატად 6 ვადით. 17 წლის მანძილზე 1964 წლის 28 ნოემბრიდან 1981 წლის 15 ოქტომბრამდე, დემირელს პარტიის თავმჯდომარედ ირჩევდნენ სპ-ს ყველა დიდ ყრილობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ აქტიურ პოლიტიკას 7 წლით ჩამოაშორეს, დემირელმა შეძლო ჩამოეყალიბებინა 7 მთავრობა თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე, რომელიც 3 დეკადას მოიცავს.

იგი ლაპარაკობს ინგლისურად და არის პოლიტიკაზე დაწერილი მრავალი წიგნის, სტატიისა და ესსეს ავტორი.

მისი მეუღლეა ნაზმიე დემირელი.

**საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.**

სურათზე: სულეიმან დემირელი და ედუარდ შევარდნაძე ანკარაში საქართველოს დელეგაციის ვიზიტის დროს.

# ისევ ჩვენს გასაჭირზე

საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერს ბატონ
**ირაკლი მენაღარიშვილს**

პირი: საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის გენერალურ დირექტორს ბატონ ვ. აბაშიძეს; გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს ბატონ გ. გოგიაშვილს; გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარ რედაქტორს ბატონ ა. სილაგაძეს; გაზეთ „გურჯისტანის" მთავარ რედაქტორს ბატონ ს. სულეიმანოვს; გაზეთ „ვრასტანის" მთავარ რედაქტორს ბატონ ვ. ბაიბურთს; გაზეთ „თბილისის" მთავარი რედაქტორის მოადგილეს ბატონ ს. მუმბურიძეს; გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" მთავარ რედაქტორს ბატონ ვ. ანასტასიადის.

როგორც თქვენთვის ცნობილია, წლეულს, 5 ოქტომბერს, მინისტრთა კაბინეტში განხილული იქნა საკითხი რესპუბლიკური გაზეთების ბეჭდვის გაუმჯობესების თაობაზე. ამის მიუხედავად, გაზეთების გამოცემა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც.

გაზეთების სისტემატური დ მცირე რაოდენობით ბეჭდვის გამო ხელმომწერთა უმრავლესობა გამოწერილ გაზეთებს ვერ ღებულობს და ამის თაობაზე სამართლიან აღშფოთებას გამოთქვამს. საქმეს ისიც ართულებს, რომ დილით მუსიკალურ-საინფორმაციო პროგრამა „ალიონში" პრესის მიმომხილველი აცხადებს, რომ გამოვიდა ამა თუ იმ დასახელების გაზეთები, მაგრამ თუ რა რაოდენობით, ამის შესახებ არაფერს ამბობს, რაც კიდევ უფრო აღიზიანებს ხელისმომწერლებს და ქმნის არაჯანსაღ ატმოსფეროს კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამსახურების მიმართ.

ასეთ პირობებში საფოსტო განყოფილებებში და პრესის გავრცელების სამსახურებში მუშაობა შეუძლებელი გახდა. ფოსტალიონებს ხელმომწერები ლანძღვა-გინებით ეკლებიან და ესეც გახდა მიზეზი იმისა, რომ ფოსტალიონთა დიდმა ნაწილმა სამუშაო მიატოვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ასეთ ვითარებაში კავშირგაბმულობის ორგანოებს არ შეუძლიათ ჩაატარონ ხელმოწერა გაზეთებზე 1995 წლის პირველ ნახევარში და წინადადებით შემოვდივართ, გაზეთები გავრცელდეს მხოლოდ საცალო ქსელის მეშვეობით.

**ვახტანგ სალიბეგაშვილი,**
კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე.

გვინდა ჩვენმა მკითხველებმა და ხელისმომწერებმა იცოდნენ, უქაღალდობის გამო დღეისათვის რომელ გაზეთს რა ტირაჟით ბეჭდავს გამომცემლობა „სამშობლო".

ვის რამდენი ხელმომწერი ჰყავს:

„საქართველოს რესპუბლიკა" — 3000 ცალი, ხელისმომწერია — 17000; „სვობოდნაია გრუზია" — 1450 — 3097; „გურჯისტანი" — 1000 — 3558; „ვრასტანი" — 1000 — 7458; „თბილისი" — 1450 — 4428; „ვეჩერნი ტბილისი" — 1450 — 964.

აი ასეთი უმძიმესი მდგომარეობა აქვთ დღეს რედაქციებს.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

### საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დამოუკიდებელი მთავარი სამმართველოს თანამშრომლების საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

**სამშობლოს** დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დამოუკიდებელი მთავარი სამმართველოს თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

მეორე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

**ზაზა ქავთარაძე** — ლეიტენანტი, მეხუთე განყოფილების ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ).

მესამე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

**ნიკოლოზ გოგლიძე** — ლეიტენანტი, მეორე სამმართველოს ინსპექტორი;
**ნოდარ მჭედლიშვილი** — კაპიტანი, მეორე სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

**ე. შევარდნაძე.**

1994 წლის 10 ნოემბერი.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

### საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

**სამშობლოს** დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

მესამე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

**ედუარდ ზენძიხაძე** — პოლიციის პოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო სამმართველოს უფროსი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

**გია ვარამაშვილი** — პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიგანყოფილების საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილების ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი;
**შალვა იოსელიანი** — პოლიციის პოლკოვნიკი, ქ. თბილისის სამგორის რაიგანყოფილების უფროსი;
**კობა ოთანაძე** — პოლიციის კაპიტანი, რესპუბლიკის პოლიციის გენერალ-მაიორ გ. გულუას სახელობის პოლიციის საგანგებო დანიშნულების რაზმის მეთაური;
**მერაბ სამიშვილი** — პოლკოვნიკი, შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსი.

**ე. შევარდნაძე.**

1994 წლის 10 ნოემბერი.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

### საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელთა მედლით „მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

**სამსახურებრივი** მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის მედლით „მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლები:

**ჯემალ ლოზუანიძე** — მაიორი, მეორე განყოფილების საპასპორტო მაგიდის უფროსი;

**დავით როინიშვილი** — ლეიტენანტი, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ);

**ამირან ჩანქსელიანი** — ვიცე-პოლკოვნიკი, მეორე განყოფილების უფროსი.

**ე. შევარდნაძე.**

1994 წლის 10 ნოემბერი.

# საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები ფართოვდება

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ ბაჩიაშვილი

### აქტუალური ინტერვიუ

**— რესპუბლიკის ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის: წარმოება ფაქტობრივად გაჩერებულია. ასეთ პირობებში, რამდენად არის გამართლებული იმ კომიტეტის არსებობა, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ?**

— ეს კითხვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ვრცელ პასუხს და დასაბუთებას მოითხოვს.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაფართოება და განვითარება რესპუბლიკაში სახსრების დაგროვების, მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგში წარმოქმნილი კრიზისის დაძლევის, ეკონომიკური რეკონსტრუქციის განხორციელებისა და ამ ბაზაზე მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობა წარიმართება სამი ძირითადი მიმართულებით:

**პირველი.** საინვესტიციო პოლიტიკის გატარება: დარგობრივი საინვესტიციო პროექტების მომზადების ორგანიზაცია, უცხოელ ინვესტორთა მოძიება, საინვესტიციო სახსრების ეფექტიანი ათვისება, ინვესტიციების დიფერენცირება, რეგულირება და ამ სფეროში საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაცვა.

**მეორე.** საგარეო ვაჭრობა: ექსპორტ-იმპორტის საინფორმაციო სისტემა, მსოფლიოს ბაზრის კონიუნქტურისა და ფასების შესწავლა და რესპუბლიკის სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებისთვის მაღალკვალიფიციური რეკომენდაციების მომზადება, საქართველოს შიდა ბაზრის რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესება. ექსპორტ-იმპორტის ბალანსი და ანალიზი, რეგულირება და კონტროლი, საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო წესების დაცვა, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე სწრაფი და ქმედითი ზეგავლენის მოხდენა;

**მესამე.** საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობათა განვითარება და გაღრმავება. დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების გამოყოფილი დახმარების (ტექნიკური, ჰუმანიტარული, ფინანსური) ეფექტიანი კოორდინაცია და ათვისება.

ამ მიმართულებების გარდა, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა გულისხმობს აგრეთვე რეკომენდაციების მომზადებას იმ სტრუქტურული და ინსტიტუციონალური გარდაქმნების შესახებ, რომლებიც აუცილებელია საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური თუ სხვა სახის ურთიერთობების მაქსიმალურად გაფართოებასა და გაღრმავებაში.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ეფექტიანი და პროფესიული წარმართვისათვის, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში (მათ შორის, სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებშიც) შექმნილია სპეციალური სახელმწიფო ორგანო, რომელსაც დავალებული აქვს ამ საქმიანობის ორგანიზება და კოორდინირება. გერმანიაში ფუნქციონირებს ეკონომიკური კავშირურთიერთობების უძლიერესი ფედერალური სამინისტრო, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტექნიკური დახმარების ორგანიზაცია — „გეტეცეტი". რუსეთში, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტი გადაკეთდა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროდ. ამასთან, მკვეთრად გაიზარდა მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი. შუა აზიის ზოგიერთ რესპუბლიკაში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების უწყების ხელმძღვანელები ამავე დროს ქვეყნის ვიცე-პრემიერები არიან.

საზღვარგარეთის სახელმწიფოებში, ნებისმიერ შემთხვევაში, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განმახორციელებელი ორგანოები ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი სტრუქტურებია, რომლებსაც უნარი შესწევთ ოპერატიული ზეგავლენა განახორციელონ მიმდინარე პროცესებზე (მეურნეობის სხვადასხვა დარგებში საინვესტიციო კვოტების დადგენა, რაც თავის მხრივ მკაცრად დიფერენცირებულ და პროფესიულ მიდგომას მოითხოვს, საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების რეგულირება და კონტროლი, რაც გულისხმობს სასაქონლო და საბაზრო კონიუნქტურის შესწავლასა და ანალიზს, ექსპორტის სტიმულირებას, საშინაო ბაზრის რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუმჯობესებას, სავაჭრო ოპერაციებზე ამკრძალავ და მასტიმულირებელი ზეგავლენის მოხდენას და სხვა).

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის წარმმართველი და მაკოორდინირებელი სახელმწიფო ორგანოების მაღალ რანგში აყვანა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ნებისმიერი სახელმწიფო დიდად არის დაინტერესებული განახორციელოს ერთიანი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა.

ასეთი სამთავრობო ორგანოების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ უახლოეს პერიოდში თანამეგობრობის სახელმწიფოებში (დსთ) ჩამოყალიბდება საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განმახორციელებელი უწყებების ხელმძღვანელთა საბჭო. მას ამ ქვეყნებში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და კოორდინირების საქმეში უდიდესი ფუნქციები დაეკისრება.

ილუსტრაციოდ უფრო დაწვრილებით წარმოგიდგენთ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მართვისა და კოორდინირების არსებულ პრაქტიკას რუსეთში, სადაც ასეთი ორგანოა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო. ამ სამინისტროს დებულების პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ: „რუსეთის ფედერაციის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო არის ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანო, რომელიც განახორციელებს ხელმძღვანელობას საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში.

რუსეთის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მთავარი ამოცანაა სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავება და რეალიზაცია, მისი საქმიანობის კოორდინირება და რეგულირება"... სამინისტრო აღჭურვილია ფართო საორგანიზაციო-მაკოორდინირებელი ფუნქციებით და რეალურად საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის წარმმართველი ორგანოა. სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 1340 ერთეულს, ჰყავს წარმომადგენლები (10-25 კაცი) მსოფლიოს 70 ქვეყანაში. სამინისტროს დაქვემდებარებაშია ისეთი მსხვილი საგარეო სავაჭრო გაერთიანებები, როგორებიც არიან: „როსვნეშტორგი", „ტეხნოინტორგი", „პრომსირიოიმპორტი", „ნაფტა" (ყოფილი „სოიუზნეფტოექსპორტი"), „პროდინტორგი", „სტანკოექსპორტი", „მაშიმპექსი" და სხვა.

რუსეთის რეგიონებში სამინისტროს ჰყავს თავისი რწმუნებულები, რომლებიც ასევე აღჭურვილი არიან ფართო უფლებამოსილებით. სამინისტრო უფლებამოსილია შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენოს საკითხები საბაჟო და საგადასახადო რეჟიმის შეცვლის, საექსპორტო წარმოების სტიმულირების თაობაზე და სხვა.

ანალოგიური ფუნქციებით არის აღჭურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოების საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკის წარმმართველი ორგანოები.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, და, საერთოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანი მუშაობისათვის აუცილებელია ხელისუფლების თითოეულ რგოლს მიეცეს მასზე დაკისრებული ფუნქციების სრული რეალიზაციის შესაძლებლობა და დაეკისროს საქმიანობაზე სრული პასუხისმგებლობა. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში დაუშვებელია პარალელიზმი, შეუთანხმებლობა, საქმიანობის კოორდინაციის უქონლობა. ასეთი მაგალითები კი, სამწუხაროდ, ბევრია. საქართველოში დღეს შექმნილია პარალელური სტრუქტურები, რომლებსაც საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთნაირი და ურთიერთგანმეორებადი ფუნქციები აკისრია.

ერთიანი საგარეო პოლიტიკის გატარების აუცილებლობის უგულებელყოფამ შეიძლება მეტად სავალალო შედეგები მოგვიტანოს.

არასწორი საინვესტიციო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ამა თუ იმ ქვეყანაში (უმთავრესად, განვითარებად სახელმწიფოებში) შეიძლება აშენდეს უახლესი ტექნოლოგიისა და რენტაბელობის საწარმოები, მაღალი დონის ინფრასტრუქტურის მთელი სისტემა, ხოლო თვით ამ ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრების დონე არ გაუმჯობესდეს (ე. წ. „საინვესტიციო ექსპანსია"). ასეთი მაგალითები ბევრია. არასწორად განხორციელებულმა საინვესტიციო პოლიტიკამ შეიძლება უარყოფითი როლი შეასრულოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში საკმაოდ მალე შემოვა დიდი მოცულობის ინვესტიციები (ამის წინაპირობები კი ნამდვილად არსებობს), საინვესტიციო პოლიტიკის სწორად წარმართვა ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორი ქვეყნების სამთავრობო ორგანოები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ იმ საკითხს, რომ რეციპიენტი ქვეყნის ერთ სამთავრობო სტრუქტურაში იყოს თავმოყრილი საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციები და მასთან ჰქონდეთ ურთიერთობა, აწარმოონ ყველა სახეობის წინასწარი მოლაპარაკება და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია. მათ ურჩევნიათ, რომ გარედან მოწოდებული რესურსების ფინანსური და ეკონომიკური (მათ შორის სავაჭრო) მენეჯმენტი განახორციელოს ერთმა სპეციალიზებულმა სტრუქტურამ, რომელსაც აქვს გამოცდილება საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში და დაკომპლექტებულია პროფესიონალი კადრებით.

დღეისათვის ასეთი ორგანიზაციაა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი, რომელიც უნდა იყოს საერთაშორისო ეკონომიკურ კოოპერაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხის წარმმართავი და რესპუბლიკის მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული. ეს მისი უშუალო მოვალეობაა, რადგან სწორედ კომიტეტია საგარეო-ეკონომიკურ სფეროში რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და საქმიანობის რეგულირება-კოორდინაციის ცენტრალური სამთავრობო ორგანო.

**— მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პუბლიკაციებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი ეკონომიკური კავშირები საზღვარგარეთელ პარტნიორებთან შემოიფარგლება უცხოეთიდან დელეგაციების მიღება-შეხვედრებით, საუკეთესო შემთხვევაში კი განზრახულობათა ოქმების გაფორმებაზე შორს საქმე არ მიდის. ასეთი შთაბეჭდილება, ალბათ, არ არის ზუსტი, მაგრამ ამას, ალბათ, თქვენ იტყვით...**

— რასაკვირველია, იმის თქმა, რომ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები მხოლოდ უცხოელთა მიღება-გაცილებით შემოიფარგლება, არ არის სწორი. უფრო მეტიც, მართებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს ეს ურთიერთობანი აქტიურად არ ვითარდება. პირიქით, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას კარგად ესმის საგარეო-ეკონომიკური კავშირების განვითარების უპირველესი მნიშვნელობა და ყველაფერს აკეთებს მათ გასაფართოებლად. ამ მიმართულებით ჩვენს კომიტეტშიც ყოველდღიური, დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს და არც შედეგებია ურიგო.

კომიტეტი ჩამოყალიბებულია ორგანიზაციულად, ფუნქციონურად და სტრუქტურულად. მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებია დარგობრივი პროექტებისა და ინვესტიციების, საგარეო ვაჭრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის, იურიდიული და სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობების მუშაობის კოორდი-

(დასასრული მე-4 გვ.).

# მერვე სვეტი

## პარლამენტის სხდომის დღიური

11 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა განაგრძო მუშაობა. პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების შესახებ.

პარლამენტის პრესცენტრი-საქინფორმი.

## გაზი დროებით არ გვექნება

დღეს მინისტრთა კაბინეტში მოვიდა შეტყობინება, რომელშიც ნათქვამია, რომ თურქმენეთ-საქართველოს გაზსადენზე, უზბეკეთის ტერიტორიაზე მოხდა ავარია, რის შედეგადაც შუა აზიიდან საქართველოს მთლიანად შეუწყდა გაზის მოწოდება. ამჟამად რესპუბლიკა გაზს მხოლოდ რუსეთის ფედერაციიდან ღებულობს, რაც შეადგენს 2 მილიონ კუბურ მეტრს. ზემოთ აღნიშნულის გამო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით შეუწყდება გაზის მიწოდება ყველა მომხმარებელს თბოსრესის გარდა. მოსახლეობას ვაცნობებთ, რომ პურის ცხობა არ შეფერხდება.

უკანასკნელი ინფორმაციის მიხედვით, ავარიის ადგილზე უკვე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები და გაზსადენის აღდგენა ნავარაუდევია უახლოეს დროში.

„საქგაზის" ხელმძღვანელობა სთხოვს მოსახლეობას, არ დარჩეთ ღია გაზქურები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბინებში გაზის გაჟონვა.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

## ერთობლივი ძალისხმევით

**თბილისში** მყოფმა რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების მთავარსარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ანდრია ნიკოლაევმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა, რომ კმაყოფილია საუბრით. როგორც მან თქვა, საუბარი, ძირითადად, ეხებოდა რუსეთისა და საქართველოს ძალისხმევის კოორდინაციას სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი დაცვისათვის ადრე ხელმოწერილი შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

აღინიშნა, რომ მორიგების თანახმად, ამ მიზნით, ხარჯების 60 პროცენტი, რუსეთმა იკისრა, 40 პროცენტი კი — საქართველომ. მიმდინარე წლის დამდეგიდან რუსეთის მხრივ გაწეულმა ხარჯებმა 28 მილიარდი რუბლი შეადგინა. წლის დამლევამდე ეს ციფრი 40 მილიარდამდე გაიზრდება. საქართველომ გამოყო 1,5 მილიარდი რუბლი.

ახლა, თქვა მთავარსარდალმა, განიხილება საკითხი, რომ საქართველომ თავისი წილიდან სასაზღვრო ჯარების საჭიროებისათვის, რომელთა შემადგენლობაში, სხვათაშორის, სამსახურს გადიან საქართველოს მოქალაქეებიც, გამოყოს ზოგიერთი სახეობის სურსათი, სამშენებლო ზეტუე, სხვა მასალები.

რუსეთის სასაზღვრო ჯარების ქვეგანაყოფებში საქართველოს მოქალაქეთა სამსახურის გავლასთან დაკავშირებით, გენერალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს კარგ საფუძველს უქმნის სუვერენული სახელმწიფოს მომავალი სასაზღვრო ჯარების კადრების მომზადებას.

## ამ დღეებში

გვესტუმრებიან „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

# საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები ფართოვდება

(დასასრული)

ნირების სამმართველოები. ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებთან ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილება. ჩვენი ტერიტორიული ორგანოებია აჭარის, ქუთაისისა და ფოთის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარი სამმართველოები. გვექვემდებარება საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „საქიმპექსი“, საექსპორტო საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია და ევროგაერთიანების ტექნიკური დახმარების ბიურო.

დარგობრივი საინვესტიციო პროექტების კვალიფიციური განხილვის მიზნით შექმნილია ოთხი საექსპერტო კომისია, რომელთა შემადგენლობაში არიან საქართველოს პარლამენტის წევრები, ცნობილი მეცნიერები, პრაქტიკოსები, დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლები. გარკვეული გამოცდილება შევიძინეთ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. შედგენილი გვაქვს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი, შექმნილია საგარეო ვაჭრობის საინფორმაციო ბანკი, მიმდინარეობს მუშაობა დარგობრივი საინვესტიციო პროექტებისა და წინადადების მომზადებისათვის, არის კვალიფიციური იურიდიული სამსახური.

საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა დავამყარეთ რუსეთის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროსთან, რომლის დახმარებითაც ჩამოვაყალიბეთ ნორმატიული და მეთოდოლოგიური ლიტერატურის საინფორმაციო ცენტრი.

მიმდინარეობს ყოველდღიური მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან, რომელთა დაინტერესებაც საქართველოში მნიშვნელოვნად და სისტემატურად მატულობს (კომიტეტში პრაქტიკულად ყოველდღე ხდება უცხოელ ბიზნესმენთა მიღება. მათი დიდი ნაწილი უკვე დაინტერესებულია კონკრეტული პროექტებითა და საწარმოებით). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ნაკლოვანების (ფინანსური, სამართლებრივი, საკადრო) მიუხედავად, მსოფლიოს 24 ქვეყანაში შექმნილია და შეძლებისდაგვარად მუშაობს სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენელთა ინსტიტუტი. მიგვაჩნია, რომ ამ ინსტიტუტმა, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნის შემდეგ, შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საგარეო ვაჭრობასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. კომიტეტში შემუშავებულია სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებისა და სავაჭრო წარმომადგენლობის ურთიერთდაარსების ტიპობრივი პროექტები, რომლებშიც საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით დეტალურად არის რეგულირებული საზღვარგარეთ სავაჭრო წარმომადგენლობების მუშაობის ყველა ასპექტი. აღნიშნულ ხელშეკრულებათა პროექტები საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, უახლოეს დღეებში გაეგზავნება უცხოეთის სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებს. მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიკურ და სავაჭრო ხასიათის სხვა პროექტებზეც.

კომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და საქმიანობის უმნიშვნელოვანესი სფეროა საერთაშორისო-ეკონომიკურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება და თანამშრომლობის გაფართოება.

კომიტეტში მომზადდა და შემდგომ ხელი მოაწერეს პირველ სამთავრობო ხელშეკრულებას (საფეიქრო ნაწარმით ვაჭრობის შესახებ) საქართველოსა და ევროგაერთიანებაში შემავალ 12 ქვეყანას შორის. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და ჩვენი კომიტეტი ერთობლივად ამზადებენ მრავლისმომცველ ხელშეკრულებას პარტნიორობასა და თანამშრომლობაზე ევროპის კავშირს, მის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის, რომელიც უახლოეს პერიოდში იქნება ხელმოწერილი. კომიტეტმა საკმაოდ ფართო ურთიერთობა დაამყარა რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკთან, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციასთან. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს გაეროს დაქვემდებარების ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების მიმართულებით.

კომიტეტში დიდი სამუშაოები წარმოებს საზღვარგარეთიდან კრედიტებისა და ინვესტიციების მოძიების, ფინანსური სახსრების საქართველოს ეკონომიკისათვის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების სფეროში, მომზადებულია საზღვარგარეთის ინვესტიციებისათვის ძირითადი მიმართულებისა და პროგრამების ნუსხა, პირველი რიგის საინვესტიციო წინადადებების ჩამონათვალი და შესაბამისი პასპორტები.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი საზღვარგარეთული ინვესტიციის საფუძველზე რეალური შედეგების მიღება საკმაო დროს მოითხოვს. საჭიროა წინასწარი მოსამზადებელ-შესწავლითი სამუშაოები — ინფორმაციის შეგროვება, მოლაპარაკებების გამართვა, სადავო საკითხების ურთიერთშეთანხმება, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დამუშავება, პროექტის შედგენა, პროექტში მონაწილეთა შერჩევა და ა. შ. ნუ წარმოვიდგენთ, რომ ქვეყანა, რომელიც ომმა დაასუსტა, დღეს შეიძლება უცებ შეიცვალოს და ყველა პრობლემა გადაჭრას. მაგრამ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ბუნება, წიაღისეული, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, ქვეყნის მოსახლეობის განათლებისა და ინტელექტის არსებული დონე განაპირობებენ, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში ამოქმედდება მნიშვნელოვანი პროექტები.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ თანამშრომლობაში ჩამოყალიბდა პირველი რიგის ამოცანები. ესენია: ენერგოუზრუნველყოფა, მოსახლეობის კვების პროდუქტებით დაკმაყოფილება, სატელეკომუნიკაციო სისტემის განვითარება და საექსპორტო პრო[illegible]ის წარმოების ზრდა.

ამ მიმართულებით უკვე აქტიურად ვმუშაობთ. მოვამზადეთ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტები კრედიტების გამოყოფის მიზნით იხილავენ საქართველოს მთავარი ელექტროსადგურების ტექნიკური განახლების პროექტებს.

ევროგაერთიანების ტექნიკური დახმარების ექსპერტებისა და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით მუშავდება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროგრამა, რომელშიც შედის სავაჭრო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და სხვა საკომუნიკაციო კავშირების 23 პროექტი. პირველი ეტაპის 5 პროექტისათვის უკვე გამოიყო 4,7 მილიონი ეკიუ. აპრილში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სანქტ-პეტერბურგში გამართულ სხდომაზე განიხილეს ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და მისი განხორციელებისათვის შესაბამისი კრედიტების გამოყოფის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად ჩვენთან მომზადდა და ხელმოწერილია კონტრაქტი ჩინური წარმოების მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების „სინტაი-180“-ის შესყიდვის შესახებ. მალე ეს ტრაქტორები საქართველოს ნავსადგურებში გადმოიტვირთება და მიეწოდებიან სოფლის მეურნეობის საწარმოებს, სახელმწიფო და კერძო ფერმერებს.

აქტიური ათვისების სტადიაშია თურქეთის სახელმწიფო კრედიტი 50 მილიონი დოლარის ოდენობით. მის ფარგლებში სრულდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიც არის რადიო და სატელეფონო კომუნიკაციების რეკონსტრუქცია და გაფართოება, რუსთავის ცემენტის ქარხნის მოდერნიზაცია, სასმელი წყლის ჩამომსხმელი ქარხნისათვის ტექნიკური ხაზების შეძენა და სხვა. თურქეთის კრედიტის განაწილებისა და პროექტების ექსპერტიზა-შერჩევის სამუშაოები მთლიანად კომიტეტში შესრულდა.

საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კრედიტი 27 მილიონი გერმანული მარკის ოდენობით, რომელიც მთლიანად სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის კერძო სექტორს მოხმარდება. ამჟამად, გერმანელი კონსულტანტის მონაწილეობით კომიტეტში მიმდინარეობს აღნიშნული კრედიტის საკონკურსო წესით განაწილების ორგანიზაციული სამუშაოების პირველი ეტაპი.

მნიშვნელოვანი პროგრესია უცხოური კომპანიებისა და ფირმების მიერ პირდაპირი ინვესტირების საკითხში. ამერიკულ ფირმა „მაკოილსა“ და დეპარტამენტ „საქნავთობს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება და შეიქმნა ერთობლივი საწარმო, რომელიც სამგორის სანავთობო უბანზე მუშაობს. დეპარტამენტი „საქნავთობი“ ავსტრალიურ ფირმა „კრუპეუდთან“ კონტრაქტის საფუძველზე ახორციელებს მცირეგაბარიტიანი მობილური ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას. ბრიტანულ კომპანია „ჯეიპიკენთან“ დადებულია ხელშეკრულება შავი ზღვის შელფზე, კოლხეთის დაბლობზე და ქართლში ღრმა ბურღვის მეთოდების გამოყენებით ნავთობის საძიებო სადაზვერვო სამუშაოების ჩასატარებლად. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა არსებულ საბადოებზე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით გაიზარდოს ნავთობის მოპოვება.

თურქეთის ფირმა „სოვტურსა“ და რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა წიდის ერთობლივი გადამუშავების მიზნით.

შექმნილია ერთობლივი საწარმოები ავსტრალიურ ფირმებთან, რომლებიც შექმნიან მადნეულის ოქროსშემცველი კვარციტების გადამამუშავებელ საწარმოს და მოამზადებენ პოლიმეტალური მადნების სადაზვერვო სამუშაოების პროექტებს.

ყველა ამ პროექტების მოსამზადებელ სამუშაოებში კომიტეტს აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული. უახლოეს პერიოდში უცხოური ფირმების ინვესტიციები ჩაიდება საქართველოს ქიმიური მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ენერგეტიკის, სამშენ მასალათა მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის დარგებში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში.

ჩვენ დაგვევალა მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში საინსტიტუციო მშენებლობისათვის გამოყოფილი სესხის ათვისების საორგანიზაციო და საკოორდინაციო სამუშაოები. ეს საქმიანობა დღეისათვის წარმატებით მიმდინარეობს.

მაგრამ ყველაფერი ეს სრულიად არასაკმარისია იმ შესაძლო შედეგების მისაღწევად, რაც შეიძლება გვქონდეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სწორი ორგანიზებისა და კომიტეტის ყველა საჭირო ფუნქციით აღჭურვის შემთხვევაში.

**— მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული კადრებზე. ჰყავს თუ არა კომიტეტს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროს გამოცდილი მუშაკები, როგორია თქვენი საკადრო პოლიტიკა?**

ცნობილია, რომ სსრ კავშირში საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროს სპეციალისტთა მომზადება მხოლოდ ცენტრში ხდებოდა. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ იკითხებოდა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული დისციპლინები, არ ხდებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის დიპლომიანი სპეციალისტების მომზადება.

თუ ამ ჩვენთვის არასახარბიელო 70-წლიან პრაქტიკას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ კომიტეტში კადრების მხრივ საქმე არც თუ ურიგოდ გვაქვს. კომიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობენ პიროვნებები, რომლებსაც შესაბამისი საბაზო განათლებაც აქვთ და ამ სფეროში საქმიანობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც. ბევრ მუშაკს დამთავრებული აქვს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის აკადემია, განათლება მიიღეს გერმანიაში, ავსტრიაში, ინგლისში, არგენტინაში და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში, ასევე მოსკოვის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ვიყენებთ საზღვარგარეთის სხვადასხვა ცენტრებში ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას. ბოლო დროს მუშაობა გავშალეთ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციალობის მოწინავე სტუდენტების ჩვენი კომიტეტის საქმიანობაში ჩასართველად. ვაფორმებთ მათ სტაჟიორებად, ხელს ვუწყობთ მომავალ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის თითქმის ყველა თანამშრომელი ფლობს ერთ ან რამდენ ენას.

ვამაყობთ ჩვენი დღეს კომიტეტი [illegible] გულ, კვალიფიკაციური [illegible] მპლექტებული, რომლებ [illegible] დატვირთვით მუშაობენ [illegible] სამუშაო [illegible] კომიტეტში ბევრია.

**— როგორია ჩვენი ციების არასაიმედო პარტნ და საერთაშორისო აფერ გან დაცვის სისტემა, ვინ კონტრაქტებსა და ხელშ ბებს?**

— მეტად მტკივნეულ შეეხეთ. ხშირია შემთხვევ ცა საქართველოს ფირმები განიზაციები არაპროფ ურ, არაკვალიფიციურ ხელ ლებებს დებენ საზღვარ ფირმებთან და მხოლოდ დეგ მოგვმართავენ, როცა ნელოვნად დაზარალდებიან ლმე. არც თუ დიდი ხნის რესპუბლიკის მინისტრთა ტმა მიიღო დადგენილება თველოს რესპუბლიკაში ეკონომიკურ გარიგებათა დებულო რეგისტრაციის (1994 წლის 25 მარტი, № მაგრამ ეს დადგენილება ოლ სახელმწიფო საწარმო უცხოელ პარტნიორებთან ბული ხელშეკრულებების კომიტეტში სავალდებუ პერტიზას ითვალისწინებს შეეხება კერძო ფირმებს, ხდება ჩვენი მხარისთვის და წამგებიანი კონტრაქტები ფორმება. ექსპერტიზაზე არავის ვეუბნებით. მთავარ ვმართოთ და მოგვიტანონ ვე გაფორმებული კონტრ არამედ მათი პროექტები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტსა და რუსეთის საგ ეკონომიკურ ურთიერთობა მინისტროს შორის მალე შეთანხმება სხვადასხვა ინფორმაციის (მათ შორის ვარგარეთის მსხვილი კომპან და ფირმების საიმედობის ურთიერთგაცვლაზე.

---

### ხმა ერის გასაგონად

# ხე ნაყოფით იცნობა

**ამ ბოლო 6-7 წლის მანძილზე მომხდარი მოვლენების სიჭრელემ უძრაობას მიჩვეული თაობა ისე გადაღალა, რომ, სამწუხაროდ, არა თუ ის ნაყოფი ვერ მოვიმკით, რომლითაც ბევრი გვაიმედებდა, არამედ ჭეშმარიტებაში გარკვევა ადრინდელზე მეტად გაგვიჭირდა: რა გზით ვიარეთ, რა გვინდოდა, სად მივედით და რაც მთავარია, ახლა რა უნდა ვაკეთოთ? — ეს ის კითხვებია, რომელნიც დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჩნდება და პასუხს მოითხოვს, მაგრამ ამჟერად მათთვის პასუხის გაცემას ჩვენ მხოლოდ ერთი სფეროს ერთი ასპექტის კონკრეტული მაგალითების საფუძველზე შევეცდებით.**

1988-89 წლებში, როცა მრავალი წლის მანძილზე დაკეტილი ტაძრების დიდი ნაწილი ამოქმედდა, ხოლო მოძღვრებს ხალხისთვის ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის საშუალებით მიმართვის შესაძლებლობა მიეცათ, მართლმადიდებელმა ეკლესიამ ათეისტური იდეოლოგიით აღზრდილ საზოგადოებას პირველ რიგში სინანულისაკენ მოუწოდა, რადგან, როგორც ვიცით, ცოდვებისაგან განწმენდის ერთადერთ გზას სწორედ სინანული წარმოადგენს. ზნეობრივი სრულყოფის კიბეზე ამასვლა, რომელიც მაღალი იდეალების ცხოვრებაში განხორციელების აუცილებელი პირობაა, შეუძლებელია ცოდვის მძიმე ტვირთის მოუხსნელად, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ ცოდვათა მონანიებით მიიღწევა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მოქმედმა სოციალური ძალების უმეტესობამ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას, ნებსით თუ უნებლიეთ, გვერდი აუარა და ერში პოპულისტური ხერხების გამოყენებით ეგოისტური განწყობილების შექმნას შეუწყო ხელი, რასაც შემდეგ ბუნებრივად სხვადასხვა დაჯგუფებათა დაპირისპირება მოჰყვა.

სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით შეკავებული, წლების მანძილზე დაგროვილი ძალადობის მუხტი ელვის სისწრაფით ამოქმედდა და ჯაჭვური რეაქციით მთელ ერს მოედო. საბედნიეროდ, მაინც აღმოჩნდნენ გონიერი ადამიანები, რომელთაც, შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად, ქვეყნის აღმშენებლობისათვის ზრუნვაზე ხელი არ აუღიათ და ხალხის ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე დადგომისათვის ყოველი ღონე იხმარეს. ხშირ შემთხვევაში იმათაც კი, რომელნიც რწმენადაკარგული და ქრისტიანული რჯულისაგან გაუცხოებული თაობის თითქოსდა ჭეშმარიტი შვილები იყვნენ, მართებული პოზიცია აირჩიეს და ჩათვალეს, რომ ამჟამად ყველაზე დიდ საქმეს მომავლისათვის ნიადაგის მომზადება, ანუ ახალი თაობის სწორი აღზრდა წარმოადგენს, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, სკოლასა და ეკლესიას შორის სწორი ურთიერთობის აღდგენა-განახლებაა საჭირო. ეს პროცესი ჯერ კიდევ იმ ხანებში დაიწყო, როცა განათლების სამინისტროს სათავეში ბატონი გურამ ენუქიძე ედგა და დღემდე გრძელდება. მადლს მოწყურებული ადამიანის სულისათვის წყურვილის მოკვლა მხოლოდ ეკლესიას შეუძლია, რომელიც თვითონ არის მადლის წყარო დედამიწაზე. ამიტომაც მოუწოდებს ყველა ეპისტოლესა და ქადაგებაში ღვთივკურთხეულ ქართველ ერს ამ წყაროსკენ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

1989-90 წლებში როგორც თბილისში, ასევე მთელ რიგ რაიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და სხვა საგნების მასწავლებლებმა სტიქიურად დაიწყეს საღმრთო რჯულის სწავლება სკოლებში. ამიტომ განათლების სამინისტროსთან არსებული მეთოდცენტრის თაოსნობით, ბატონ ა. კაპანაძის ხელმძღვანელობით გაიხსნა კურსები, სადაც მოძღვრები ა. მინდიაშვილი და ზ. ძიძიბაძე მსურველებს საღმრთო რჯულს, ბიბლიურ ისტორიას, წმ. მამათა ცხოვრებასა და სწავლა-მოძღვრებებს აზიარებდნენ. დღის წესრიგში ძველი სასკოლო პროგრამების შეცვლა და ახალი სახელმძღვანელოების მომზადება დადგა. განათლების სამინისტროში ამ საკითხს არაერთი შეკრება მიეძღვნა, რომელშიც, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ეკლესიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

1990 წელს უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემიაში ქრისტიანული ანთროპოლოგიისა და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტები გაიხსნა, სადაც ქრისტიანული პედაგოგიკისა და ქრისტიანული კულტურის მცოდნე სპეციალისტები უნდა მომზადებულიყვნენ, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბატონ რევაზ სირაძის ხელმძღვანელობით ქრისტიანული კულტურის კვლევის ლაბორატორია დაარსდა, რომელიც დღეს გამოსაცემად ბიბლიურ ენციკლოპედიას ამზადებს. ამავე უნივერსიტეტში ზურაბ ფორაქიშვილის თაოსნობითა და კათოლიკოს-პატრიარქის მხარდაჭერით, ფილოსოფიის ფაკულტეტზე თეოლოგიის განყოფილება, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქალბატონ ლ. ხაჩიძის მეცადინეობით ქრისტიანული კულტურის კათედრა გაიხსნა. გარდა ამისა, ამავე ხანებში განათლების სამინისტროს პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტში საღმრთო რჯულის პედაგოგთა მომზადების კურსები დაარსდა, სადაც ჯერ მისაღებ გამოცდებში კომისიის წევრებად, ხოლო შემდეგში რიგი საგნების მასწავლებლებად მოძღვრები, სასულიერო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და წარჩინებული სტუდენტები მიიწვიეს. ამ საქმეთა ზემოხსენებულ ინიციატორებს ძირითადად ერთი მიზანი ამოძრავებდათ — საშუალო სკოლებში საღმრთო რჯულის სპონტანურად დაწყებული სწავლება შემთხვევითი და მოუმზადებელ პირებს არ ჩავარდნოდა ხელში. ამავე დროს გაჩნდა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა: რჯულის სწავლებისას რისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა — სარწმუნოებრივი დამოკიდებულებისა თუ ცოდნისათვის. ეს პრობლემა ერთხელ უკვე იდგა მე-19 საუკუნის შუა წლებში და მაშინ იგი განყენებული ცოდნისა და სავალდებულო სწავლების სასარგებლოდ გადაწყდა, რის შედეგადაც ურწმუნო და რევოლუციურად განწყობილი თაობა მივიღეთ. დღევანდელ პირობებში ორივე გზა იქნა გამოყენებული: ბათუმში, საქართველოში პირველად გაიხსნა მართლმადიდებლური გიმნაზია დეკანოზ დავით შიოლაშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტში მიზანშეწონილად მიიჩნიეს ესწავლებინათ ქრისტიანობა ახალი საგნის ფარგლებში, რომელსაც „რელიგია და კულტურა“ ეწოდა.

1992 წელს თბილისში კიდევ ორი მართლმადიდებლური გიმნაზია, ხოლო ცოტა ადრე ხულოსა და სიღნაღის რაიონებში მართლმადიდებლური სასწავლებლები გაიხსნა. საპატრიარქომ პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტს საშუალო განათლების სკოლებისათვის ორი პარალელური პროგრამა შესთავაზა: ერთი ზოგადსაგანმანათლებლო ხასიათისა არა მხოლოდ მართლმადიდებელი აღმსარებლობის ბავშვებისათვის და მეორე ფაკულტატიური, რომელიც სწავლებას რწმენის საფუძველზე ითვალისწინებდა და უფრო კატეხიზატორულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ათეიზმის ბატონობის წლებში ეკლესიასა და სკოლას შორის გაჩენილი ბზარი არც თუ ისე იოლად გასამთლიანებელი აღმოჩნდა.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ სამრევლო სკოლა, რომელიც მორწმუნე საზოგადოების თხოვნით სიონის საკათედრო ტაძართან გაიხსნა. ამჟამად მსოფლიოს ბუნების დაცვის ფონდის რამდენიმე საკვირაო სკოლის გახსნა აქვს გადაწყვეტილი, სადაც ბავშვები ეკოლოგიურ განათლებას შეიძენენ. არ შეიძლება აგრეთვე არ მოვიხსენიოთ ის სკოლები, რომელნიც თბილისში უცხოეთიდან ჩამოსულმა კერძო პირებმა გახსნეს და რომელთა პროგრამაც მოზარდთა რელიგიურ აღზრდას ითვალისწინებს, თუმცა ჩვენთვის მათი სარწმუნოებრივი განათლება და რელიგიის საკითხში კომპეტენტურობა დღემდე გაურკვეველია.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, თუ რამდენად რთულია ორგანიზაციულად, სტრუქტურულად და თვისობრივად ერის სულიერი განათლების სისტემა. ამიტომაც ამ საქმეში მონოპოლის არავინ იჩემებს, თუ არ ჩავთვლით ბატონ რევაზ თვარაძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ „რელიგია და კულტურა“ მხოლოდ იმ პედაგოგებს შეუძლიათ ასწავლონ, რომელთაც კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსები დაამთავრეს, კერძოდ, იგი წერს: „ჯერჯერობით საქართველოს არცერთი უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტს არ გამოუშვია სათანადოდ მომზადებული პედაგოგები. ეს ახლო მომავალში, რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყება. მანამდე კი „რელიგია და კულტურა“ შეუძლიათ ასწავლონ იმ პედაგოგებმა, რომლებმაც შარშანდელ სასწავლო წელს დაამთავრეს ან წლეულს ამთავრებენ კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის ცხრათვიან კურსებს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წ. 28 ივნისი). უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ეს განცხადება კეთდება მაშინ, როცა წლეულს თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის მესამე გამოშვება იყო, ხოლო ქრისტიანული ანთროპოლოგიისა და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის — პირველი გამოშვება. წლეულს იყო აგრეთვე პირველი გამოშვება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის თეოლოგიის განყოფილების კურსდამთავრებულებისა. ვფიქრობ, მათ არანაკლებ უფლება აქვთ ასწავლონ როგორც „რელიგია და კულტურა“, ისე სხვა რომელიმე საღვთისმეტყველო საგანი სკოლებსა თუ სხვა სასწავლებლებში. ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაკულტეტი, განყოფილება თუ კათედრა გარკვეულად არის დაკავშირებული საქართველოს საპატრიარქოსთან. ეკლესიის თუ საერო განათლების სისტემის ნაყოფიერი ურთიერთობა, მართლმადიდებელი ახალგაზრდობის კავშირის „ძლევაის“ მეოხებით, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზეც გამოვლინდა.

ერის სულიერი განათლების პრობლემებიდან კიდევ რამდენიმეს გამოყოფა შეიძლება, მათ შორის პირველია აღმზრდელის საკითხი, მომავალი თაობის აღსაზრდელად აღმზრდელი რომ უნდა მომზადდეს, ეს ყველამ იცის, მაგრამ გაჩნდა ვის როგორ წარმოუდგენია ყოველმხრივ მომზადებული პედაგოგი: მხოლოდ მცოდნედ, რომელიც მსმენელებს რელიგიებისა და კულტურის შესახებ ინფორმაციებს ათეისტის ლექსიკონისა და საბჭოთა ენციკლოპედიის დონეზე ან თუნდაც უფრო ვრცლად მიაწვდის, თუ ჭეშმარიტ მორწმუნედ, სულიერად და ზნეობრივად მაღალ პიროვნებად, რომლის ცოდნაც რწმენით იქნება განცხოველებული და გასულიერებული. აღმზრდელი ერთნაირად შორს უნდა იდგეს როგორც სულიერი ექსტრემიზმისაგან, ასევე სულიერი ინდიფერენტიზმისაგან, რადგან მართალია, მართლმადიდებლობა სხვა აღმსარებლობის მიმართ მტრობას არ თესავს, მაგრამ არც სხვა აღმსარებლობებთან გათანაბრებას იწყნარებს. თუ საღმრთო რჯულის ან რელიგიისა და კულტურის პედაგოგი თვითონ არ იქნა რელიგიური, სჯულიერი და შინაგანი კულტურის მქონე, მოწაფეებსაც ზედაპირული ცოდნის გარდა ვერაფერს შესძენს. რადგან რელიგიურობა, უპირველეს ყოვლისა, ღვთის რწმენა, ღვთისა და მოყვასის სიყვარულია, ამიტომ რწმენისა და სიყვარულის გარეშე მისი სწავლება შეუძლებელია. სწორედ ესაა სკოლისა და ეკლესიის ურთიერთობის უმთავრესი პრობლემა; შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული სწავლა-განათლების სისტემა სწორედ ამ თვალსაზრისით აბარებს გამოცდას ქრისტიანობაში, როგორც წარსულისა და აწმყოს, ასევე მომავლის წინაშეც.

მეორე პრობლემა სასწავლო გეგმების, მეთოდებისა და სახელმძღვანელოების ჩამოყალიბება-შექმნაა. დღეისთვის ცნობილია ამა თუ იმ სასწავლებელს თავისი მსმენელებისათვის ძირითადად რა მოცულობის ცოდნის მიცემა აქვს განზრახული, მაგრამ თუ რა ხერხებით, როგორი თანამიმდევრობით ან რა ხნის მანძილზე უნდა გადაიცეს ეს ცოდნა, ჯერ კიდევ როდია მოფიქრებული და გააზრებული. ვფიქრობთ, ამის მიზეზი იმ თუნდაც მცირე ცოცხალი გამოცდილების შეუჯამებლობასა და განუზოგადებლობაში მდგომარეობს, რომელიც ამ წლების მანძილზე დაგროვდა ჩვენს რესპუბლიკაში. მხოლოდ პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტთან არსებული კურსების გამოცდილება რომ არ არის საკმარისი, ამაზე მის მიერ დღემდე გამოცემული სხვადასხვა პროგრამებიც მოწმობს, რომლებშიც მოსწავლეთა ქრისტიანული აღზრდის შესახებ არაფერია ნათქვამი. ამიტომაც სასურველად გვესახება კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით ეკლესიის მოძღვრებისა და რელიგიური განათლების პრობლემებით დაინტერესებულ პირთა შეკრება და ყველა საჭირბოროტო საკითხის ერთობლივი ძალით განხილვა და გადაწყვეტა. პარალელურად საჭიროა კორექტირება იმ პროგრამებისა და სახელმძღვანელოებისა, რომლებსაც ეკლესიისა და რელიგიის დასამცირებლად ათეისტები ვულგარული ტენდენციურობით იყენებდნენ და არამეცნიერულ, ყალბ ჰიპოთეზებს ჭეშმარიტებად აცხადებდნენ.

თავისთავად რელიგიას აპოლოგია არ სჭირდება, მაგრამ მისი აპოლოგია იმ ადამიანებისთვის არის საჭირო, რომელთა ცნობიერებაც ათეისტურმა აზროვნებამ დააზიანა, რათა ისინი უარყოფითი ზეგავლენისაგან განთავისუფლდნენ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საღმრთო რჯულის ან რელიგიისა და კულტურის მასწავლებელი ქრისტიანულ აპოლოგეტიკასაც კარგად უნდა იცნობდეს.

ბატონი რევაზ თვარაძ ქართველოს რესპუბლიკაში მოქვეყნებული წერილის გა სას ბუნებრივად გაგვიჩნ თხვა: თუ დღეისათვის ს ველოში მოქმედი სას სასწავლებლები, კათედრებ კულტეტები თუ კურსები ნადოდ მომზადებულ პე თა უკმარისობას განი რამდენად მართებულია ერთი რელიგიათმცოდნეობ ხსნა ახლად ჩამოყალიბებუ სტიტუტში, რომელსაც „ ეწოდა? მართალია, რ. თ მას მაღალ შეფასებას მაგრამ თუ უკვე არსებულ წავლებლებს მაღალი კვალ ციის სპეციალისტების მო დებლად ძალები არ ჰყო ახალს საიდანღა ექნება? ხისადმი ასე მიდგომა ხომ არის ჩვენთვის უკვე ნა მოვლენა, რომელმაც ერთ პოლიტიკასა და ეკონომიკა ლების დაქსაქსვა გამოიწ ზიანის გარდა არაფერი მ ტანა? ხომ არ სჯობს, იყო ან სამი ძლიერი სასწავლ რომელიც ყოველმხრივ მ კვალიფიციურ სპეციალისტ ამზადებს, ვიდრე ბევრი და სტი? დღეისათვის არსებულ სწავლებლებში არ ისწა ქრისტიანული პედაგოგიკა, გან ამ საგნის მცოდნენი, თვითგანათლების იმედით შ ვევებს არ ჩავთვლით, პრ კულად არ გვყავს. ეს, თა ვად ცხადია, გაართულებს გორც ქრისტიანობის, ისე თოდ რელიგიის სწავლებას.

მომავალი თაობის სწორ ზრდა ჩვენი გადარჩენის ლარია. თუ კეთილი ნაყოფი ღება გვინდა, ხეც კეთილი დავრგოთ და ეს ხე ერთ ინდივიდუალიზმი ანტიქრ ურ მოვლენას წარმო ღვთის წყალობით ჩვენს ერ ლიგიური აზროვნების ერთი ბრივი, ისტორიული და ტ ციული საფუძველი აქვს ჩვენი ამოცანა მხოლოდ ა ფუძველზე გაერთიანებაში მარეობს.

**პროტოპრესვიტერი**
**გიორგი (გამრეკე**
**საპატრიარქოს სასწავლო**
**მიტეტის თავმჯდომარე.**

---

# თევზი თავიდან ყროლდება...

## ზოგიერთი თანამდებობის პირი მჭიდრო კავშირშია კორუფციასთან და დანაშაულებრივ ბიზნესთან

**შარშან ოქტომბერში სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებებთან მებრძოლი მთავარი სამმართველო.**

**ერთი წლის მუშაობის შედეგებზე გვესაუბრება ამ სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი კახა თარგამაძე.**

— მართალია ამ თანამდებობაზე ახლახან დავინიშნე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომიკურ დანაშაულებათა წინააღმდეგ მებრძოლ მთავარ სამმართველოში ახალი კაცი ვარ. ამ სამსახურში ვმუშაობ 1979 წლიდან და გავლილი მაქვს გზა რიგითი ინსპექტორიდან მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილემდე.

ჩვენი სამსახურის უპირველესი ამოცანაა დავიცვათ პატიოსანი ბიზნესმენი და მეწარმე სხვადასხვა ჯურის დამნაშავე ელემენტებისაგან, მაფიური დაჯგუფებებისა და რეკეტისაგან. ამას გარდა, ჩვენი ვალია, სამეურნეო ხასიათის დანაშაულთან უკომპრომისო ბრძოლით ხელი შევუწყოთ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩვენი სამსახური არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მაკონტროლებელ ორგანოდ. ეს არის სამართალდამცავი სტრუქტურა, რომლის ძირითადი ფუნქციაა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გატარებით გამოავლინოს და აღკვეთოს შენიღბული ეკონომიკური და თანამდებობრივი დანაშაული; გამოვლენილ დანაშაულთა ანალიზის საფუძველზე ინფორმაცია და წინადადებები ეკონომიკის დანაშაულის აცილების ღონისძიებათა შესახებ მიაწოდოს მმართველ ორგანოებს.

**— საქართველოში იმატა ეკონომიკურმა დანაშაულმა. იქნებ ყველაზე თვალშისაცემია დანაშაულობანი, რომლებიც საბანკო სისტემაში მოხდა. იქნებ გაგვარკვიოთ — რაშია საქმე?**

— ბოლო პერიოდში ეკონომიკური დანაშაულის აბსოლუტური უმრავლესობა ჩადენილია ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ გატარებული არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზეზით. ეროვნული ბანკის კრედიტების მნიშვნელოვანი რაოდენობა გადანაწილდა საეჭვო საქმიანობის ფირმებსა და მაფიურ დაჯგუფებებს, რომლებმაც მოახდინეს მისი კონვერტაცია და მთელი თანხა გაიტანეს საზღვარგარეთ.

უსაქონლო ოპერაციებისა და სხვა მაქინაციების გზით ვაიბიზნესმენებმა მიითვისეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხა. დაფიქსირებულია არარსებული ფირმებისათვის ყალბი საბუთების გაფორმების გზით კრედიტების გაცემის რამდენიმე შემთხვევა, რასაც მოჰყვა სახელმწიფო ფულადი რესურსების გაფლანგვა-გაძარცვა.

პირველი სწორედ ჩვენი სამსახური იყო, რომელმაც განგაში ატეხა არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თაობაზე, მივმართეთ შესაბამის ინსტანციებს, მათ შორის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტსაც, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა კურიოზი (სხვანაირად ვერ შევაფასებ ამ ფაქტს) — შეჩერდა ჩვენი სამმართველოს ფუნქციონირება, რამაც, ბუნებრივია, ხელი შეგვიშალა დანაშაულებრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მას შემდეგ, რაც უფლებები აღგვიდგინეს, მოვიკვლიეთ უამრავი ფაქტი კრედიტების გაფლანგვა-განიავებისა და ყალბი კრედიტ-ავიზოებით სახელმწიფო თანხების მითვისების შესახებ. აღძრულია 35-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე.

რამდენიმე მაგალითი. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ დავასახელებ ფირმებისა თუ კომპანიების ხელმძღვანელებს...

ერთი პირის საწარმო ფირმა „გიგის“ პრეზიდენტმა სახელმწიფო-კომერციული „აგრომრეწვბანკიდან“ 1993 წლის ნოემბერში მიიღო 350 მილიონი კუპონი მოკლევადიანი კრედიტი კვების პროდუქტების შესაძენად. ყალბი დოკუმენტაციის გაფორმებითა და უსაქონლო ოპერაციის ჩატარებით მან ეს თანხა კონვერტაციის შემდგომ მიითვისა.

ერთი პირის საწარმო ფირმა „აჩიკო და კომპანიის“ პრეზიდენტმა 1993 წლის ივლისში მიიღო 2 მილიარდი კუპონი მოკლევადიანი უნაღდო კრედიტი ყაზახეთის რესპუბლიკიდან საქართველოში 40 ათასი ტონა ხორბლის შემოტანის მიზნით. აქაც ეს თანხა კონვერტაციის შემდეგ მიითვისეს.

კომერციული ფირმა „იკას“ პრეზიდენტმა 1993 წლის მარტში აიღო 500 მილიონი მანეთის კრედიტი კვების პროდუქტების შესაძენად, მოახდინა მისი კონვერტაცია, რის შედეგადაც მიიღო 50 800 ამერიკული დოლარი. შემდეგ სესხი დაფარა ვადაგადაცილებით უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორების სხვაობის ხარჯზე და ამის შემდეგ მიითვისა 30 800 დოლარი.

### ერთად უნდა ვებრძოლოთ

ახლა კი ერთი კურიოზული შემთხვევის შესახებ: წინასწარი მონაცემებით დადგინდა, რომ ყალბი საბუთების შექმნით დაუდგენელი პირების მიერ, წინასწარი გეგმაზომიერი განზრახვით, ვინმე არობელიძის გვარით 1992 წლის აპრილში თბილისის მერიის № 452 გადაწყვეტილებით რეგისტრირებული იქნა ჩაისა და ღვინის ბირჟის საბროკერო ფირმა „777“. შემდეგ ასევე დაუდგენელი პირის ცინცაძის წერილის საფუძველზე, თითქოსდა საქართველოში კვების პროდუქტების შესასყიდად ეროვნული ბანკის რესურსებიდან კომერციული „იეერთბანკის“ მეშვეობით ფირმა „777“-ს 1993 წლის 13 მაისს გამოეყო შეღავათიანი კრედიტი 3 მილიარდი კუპონი. აქედან 1 მილიარდი იმავე დღეს გადაირიცხა კომერციულ ბანკ „ვესტაბანკში“ ფირმა „როკოთი-7“-ის ანგარიშზე. 2 მილიარდი კუპონი კი მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, „იეერთბანკის“ ხელმძღვანელობამ უკანონო კონვერტაციით გადარიცხა ფირმა „777“-ის დირექტორის ვინმე აბულაშვილის სახელზე, რომლის პიროვნებაც დღემდე დაუდგენელია, და გაიცა 266 600 ამერიკული დოლარი, ესეც დაიტაცეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფირმა „777“-ის ბუღალტერი და ხელმძღვანელობა დღემდე დაუდგენელია, ხოლო ეს ფირმა საგადასახადო ორგანოებში რეგისტრირებული არ არის და ჩატარებული საფინანსო საქმიანობიდან სახელმწიფო ბიუჯეტში არაფერი შეუტანია.

ანალოგიური ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ჩვენი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე ყოველთვის ვცდილობთ ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ უკვე საბოლოოდ დამთავრებული საქმის შედეგები.

**— ორიოდე თვის წინათ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შეიქმნა ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფი, რომელიც მიავლინეს მოსკოვში. როგორია ამ ჯგუფის მუშაობის შედეგები?**

— მძიმე კატეგორიის ეკონომიკური დანაშაულებანი, როგორც წესი, იწყება ჩვენს რესპუბლიკაში და მთავრდება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ან პირიქით. ამიტომ ხშირად მეზობელი ქვეყნების ორგანიზაციებშია საჭირო ღონისძიებების ჩატარება. არაფერს ვამბობ დამნაშავეთა ძებნა-დაკავების შესახებ. თუ არა ერთობლივი მუშაობა დსთ-ს სამართალდამცავ ორგანოებთან, რა შედეგებზე შეიძლებოდა ლაპარაკი?

სიმართლე გითხრათ, ყველაზე რთულ პერიოდშიც კი არ გაგვიწყვეტია კავშირი ყოფილი სსრკ წევრი ქვეყნების ანალოგიურ სამსახურებთან და პირადი კონტაქტების მეშვეობით ვახერხებდით გარკვეული შედეგების მიღწევას.

ბოლო დროს სახელმწიფოს მეთაურისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ხელმოწერილმა დოკუმენტებმა იურიდიული საფუძველი შეუქმნა ჩვენი სამმართველოს თანამშრომლების მუშაობის გაფართოებას დსთ-ს ქვეყნებში. შედეგმაც არ დააყოვნა. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ქალაქ მოსკოვში მივლინებული ჯგუფი ადგილობრივ კოლეგებთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. კერძოდ, მოპოვებულია მასალები და ტარდება მოკვლევა სერიოზული სახის დანაშაულებრივ ფაქტებზე. დააკავეს რამდენიმე პირი და ამოიღეს 120 000 ამერიკული დოლარი. ამას გარდა, დადგენილი და ყადაღადადებულია 4 შვეულმფრენი, რომელიც რესპუბლიკიდან გატაცებული თანხებით არის შეძენილი. ტარდება რიგი ღონისძიებანი 400 მლნ. რუბლის ღირებულების საწვავის ამოსაღებად და იმ პირების დასადგენად და დასაკავებლად, რომლებიც ემალებიან მართლმსაჯულებას და იმყოფებიან რუსეთის ფედერაციისა და სხვა რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ამ პირებს: იმ შემთხვევაში, თუ ისინი მთლიანად დაფარავენ სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზარალს, რესპუბლიკის პროკურატურასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტთან შეთანხმებით მიღებული იქნება გადაწყვეტილება მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემსუბუქების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დღეს თუ ხვალ, დავაკავებთ და კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს. ჩვენი ქვეყანა არის ინტერპოლის წევრი და მოსკოვში ჩატარებული ღონისძიების მსგავსი ოპერაცია შეგვიძლია ჩავატაროთ ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე.

**— დღეს, ბევრი ლაპარაკობს სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „აჩის“ შესახებ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა, რბილად რომ ვთქვათ, გაწბილა მეანაბრეები...**

—1994 წლის 13 ივლისს ჩუღურეთის რაიონის პოლიციის საგამოძიებო განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ერთი პირის საწარმო კომპანია „აჩის“ პრეზიდენტის გიორგი მინდიაშვილისა და ამავე კომპანიის სხვა ხელმძღვანელი პირების მიმართ, რომლებმაც გაიტაცეს მეანაბრეებისაგან მიღებული დიდძალი სავალუტო სახსრები და კრედიტების მისაღებად მოჭალაქეებისაგან გირაოდ ბული ძვირფასეულობა. მა ლურად და მორალურად რალდა ათასობით მოქალა ნაგან საქმეთა სამინისტრო შაკები ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო ღონ ებებს დამნაშავე პირთა ძ ბისა და გატაცებული ამოსაღებად.

ამჟამად დაკავებული „აჩის“ პრეზიდენტი გიორგ დიაშვილი, დირექტორი ქასოშვილი და ვიცე-პრეზ გიორგი დუალიშვილი. ჯერ ბით დაუდგენელია „აჩის“ ზიდენტის გიორგი მინდია მეუღლის, კომპანიის გენე რი დირექტორის ეკატერინე რაშენიძის ადგილსამყოფ ერთი პირის საწარმო „აჩის“ საქმე წარმოებაში შინაგან საქმეთა სამინის საგამოძიებო დეპარტამენტ ეს დანაშაული განსა მრავალმა სუბიექტურმა თუ ექტურმა გარემოებამ. განსა რებით აღსანიშნავია საკანონ ბლო ბაზის უქონლობა, რომ ყიერ ნიადაგს უმზადებს სახის დანაშაულის გავრცელ ამიტომ, როგორც თვით მ ქეებს, ასევე მაკონტროლ და სამართალდამცავ ორ ებს მეტი სიფხიზლე მართებ ის ფაქტიც აღსანიშ რომ ზოგიერთი თანამდე პირი მჭიდრო კავშირშია ფციასთან და დანაშაულებრივ ნესთან. ამასწინათ ჩვენი რთველოს თანამშრომლებმა და აჩადეს დანაშაულებრივ ნესს, რომელსაც მფარველ რესპუბლიკის ყოფილი ვიცე- მიერი ამირან ჭადაგიშვილი.

ესაუ

**გოჩა ადიშვი**

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

# თემურ ჩალაბაშვილი

## ციკლიდან „შემოდგომური“

### მტრის მოქნეული მახვილი

ცრემლი გადასწვავს წამწამებს,
სული მეცლება ლექსებად,
უთქმელი სევდა — მაწამებს,
მაცილიც აღარ მეხსნება...
მტრის მოქნეული მახვილი
შიგ გულისგულში შემსხლტება...

### მეგობარ პოეტებს

ერთობ მუხთალი
დრო დაგვიდგა,
ძმებო, მგოსნებო.
ძველებურ განცდით
ვეღარ ვტირით,
ვეღარ ვოცნებობთ.
თითქოს სიცოცხლის
დაგვიკარგავს
ყველა უფლება
და ოდით ასე
თავისუფალთ —
თავისუფლება.
თუმც მწუხარ ლექსით
ჩვენც ვდარაჯობთ —
თბილისის კარებს,
პოეტებს არა —
უფრო ვგავართ
ჩამქრალ ვულკანებს...
...უწინდებურად
ვერ ვამაყობთ —
ჯვარით, გეგუთით.
განა ჩინოსანთ —
ულარიბეს
კასტას ვეკუთვნით.
და ჩვენი ბედი —
თვით სამშობლოს
ბედზე ჰკიდია.
ღმერთი გვიშველის,
პოეტებო,
ღმერთო დიდია!

### ნუ გეგონებით...

ყოველ ცისმარე ვილაცას ველი,
ვწუხვარ და გულის ცეცხლს სხვას ვუნელებ,
ხომ არ გგონივართ მართლა სულელი,
ხანდისხან თავს თუ მოვიჩულელებ?
რომ გადავყვები ზოგჯერ ბოჰემას,
შემოეწთება სულს აგონია.
ალალად დავლევ ქუჩის ლოთებთან —
იქნებ ვილაცას ლოთიც ვგონივარ?
ვზი, პატიმარი, ვიწრო საკანში,
სად ფრთას ვერ გაშლის ჩიტი კანარის.
ხშირად მგონია აღარ ვახსოვარ
დედაჩემის მეტს ქვეყნად არავის.
მესმის მეგობართ საყვედურები,
მათ არ იციან — ჩემში რა ხდება.
რომ ზოგჯერ ერთი რითმის გულისთვის
დღე საფლავივით მიბალახდება.
და მერე ვნატრობ წუთს უჩვეულოს:
უფალო, ავთვალს შენ ამაცილე,
შენც მაპატიე, ჩემო სხეულო,
რომ შემატოვე ლექსს სასაცილოდ...
ყოველ ცისმარე ვილაცას ველი,
ვწუხვარ და გულის ცეცხლს სხვას ვუნელებ,
ნუ გეგონებით მართლა სულელი,
ხანდისხან თავს თუ მოვისულელებ...

### ნ-ს

ადრიანი შემოდგომის
წვიმაა,
ნუ ინაღვლებ —
ყველაფერი წინაა...

### ეს გათენება

ეს გათენება უთუოდ
მიხსნის,
ღმერთმა ეს ჯილდო
რაკი ინება.
მწუხარ სულიდან
ლექსის ხმა ისმის,
ვით ბავშვის
ძილში წამოტირება...

* * *

შენ ოცნების მზე ხარ
დაკარგული,
ეს წყეული გული სად არ გდევდა.
დამეუფლე, როგორც
გაზაფხული,
შემოდგომის მშვენიერო სევდავ...

* * *

ისევ ისე მარტო
მივუყვები შარას,
შენზე დარდი მაკრთობს,
სხვაზე ფიქრიც მზარავს.
მენატრება სიტყვა —
ნამდვილი და მშვიდი,
ერთადერთი კითხვა,
მოზიდული მშვილდი...

### „იმ მდინარის...“

„იმ მდინარის გეშინოდეს,
რომელიც არ ხმაურობს“.
გალაკტიონი

მე შენი მეშინია,
როგორც მშვიდი მდინარის.
დაიყეფა ფინიამ,
შეკრთა ძილში მძინარი.
მწამდა ფრთა ანგელოსის,
წყნარი და უჩინარი,
სევდა საქართველოის
და ზეცა ნაწვიმარი.
მე შენი მეშინია,
შენი ვარ პატიმარი...

### ატირეთ წვიმები

„რამ შემქმნა ადამიანად,
რატომ არ მოველ წვიმადა!“
ვაჟა

ბალახებს თვალები სავსე აქვთ ცრემლებით,
მინდორი ირწყვება მოცისფრო მძივებით.
ღრუბლები მოჩანან, ვით შორი მდევრები,
ვით შურისძიება...
თვლემს უცხო ქარებით ნაგვემი სამყარო,
ზეციდან ნალველი ჩამოდის ფიფქებად,
თუ ცოდვილ მიწაზე დაბობღავს აყალო,
ეს ვის ეფიქრება?!
აქ ყოველ ცისმარე ანთია კანდელი,
მიბნედილ სხივებსაც ემტვრევათ წვივები,
მოვკვდები? ნუ შიშობთ, არ მინდა სანთელი,
ატირეთ წვიმები...

### საუბარი ძაღლთან

ძველი დღიურიდან

შენი ცხოვრება ჩემს ცხოვრებას მაგონებს, ძაღლო,
მეც შენებრ ვუხიზლობ, ერთგული ვარ პატრონის ჩემის,
გაჩენის დღიდან უბედობას ორივე ვნაღვლობთ,
და ერთი გზა გვაქვს სიცოცხლისა, თუ თავის რჩენის,
ყოფამ ძაღლურმა შენ გასწავლა ქიცინი კუდის.
რა ვქნა, გახარბებს, საცოდავო, ულუფა მსუყე.
ბევრჯერ გამხდარხარ უნებლიედ მზრახველი ქურდის
და, ვხვდები, ასე გამწარებით მთვარეს რად უყეფ,
მე ვიცი, გტანჯავს, ძაღლო, შენი ძაღლური ხვედრი,
თუმც ერთნაირად ერთგული ხარ მონის და მეფის.
მაგრამ შენ ჩემზე ბედნიერი ხარ, მშურს და გულვდრი,
რადგან შენ კიდევ შეგრჩენია უფლება ყეფის...
1972

### ისევ აღზევდა

ისევ აღზევდა ჩემი ქალაქი —
მიძინებული ჩემი სავანე,
მხრებზე მაყრიან მთვარის ნამსხვრევებს
ამ წუთისოფლის ავანჩავანნი.
მე სხეულიდან მინდა გაქცევა
სადმე შეშლილთა შემკრთალ საფარში.
ხელს ვერ შემიშლის ზღვის მიმოქცევა.
ჩავეჭიდები ტალღებს ფაფარში.
ერთხელ ხომ მაინც უნდა დავეცე,
რომ გავუბრწყინო მიწას ციხკარი,
ჩემი სიმორცხვე ნუ გაგაოცებს,
ნუ გაიკვირვებ რად მივიჩქარი...
მკვდარი იმედი მე არ მეკუთვნის,
თვით სისხლის წვეთებს მწოვენ ქარები
და როგორც დაღლილ ბებერ მეგუთნეს
ხნულზე დამცვივა, ალბათ, თვალები.
რა ვქნა, სამოთხის სახე მაოცებს,
შენი იერი მარად მეფური.
ნეტავი მიწის მარტივ ნაოჭებს
თუ აქვს სიმშვიდე კვლავინდებური.
შენ გეკითხები, ჩემო სიცოცხლევ,
ვეღარ ვტეულვარ ფერთა გამაში,
შენ ერთმა მაინც მინდა იცოდე,
რომ არ არსებობს კაცი-თამაში.
რომ ყოველივე არის ნუგეში.
უცხო ლარნაკში დაჭკნენ ვარდები.
რადგანაც ცრემლი სახლობს გუგებში,
სადაც ვიწყებით — იქვე ვთავდებით...

### პარადოქსი

გადავეჩვიე შენთან ყოფნას,
შენთან საუბარს — თითქოს დასრულდა
სიყვარულის ძველი ზღაპარი — აღარ
არსებობს ჩემთვის ზეცის ვრცელი ტატნობი.
და როს ვნატრობდი — შლეგიანი ქარების ტიტინს,
დრომ წარიტაცა თითქოს სადღაც ჩემი ცრემლები,
უცრემლო თვალნი დაიშრიტნენ, ჩამოიქუფრნენ...
აღარ ვარსებობ, სივრცეებში ვარ ჩაკარგული.
ჩემი სიმორცხვე მიწამ შთანთქა და ერთგულების
ჯაჭვი გაწყვიტა გაავებულმა ჩემმა სხეულმა...
სიტყვები მხოლოდ სიტყვებილა შემრჩა მარტოდენ
ხასომიხდილნი ამომჩხავნნი სუსტი ყელიდან...
წარსული ხშირად აწმყოს ლამბავს ძველი
ძაფებით: ხმელი ფოთოლი — ჯანსაღ სხეულს აუჯანყდება, ცხოვრება
მხოლოდ მათი ბრძოლის ასპარეზია. გამარჯვებული
ხშირად უფრო წარსული რჩება, მას ღრმა ფესვები
მიწაში აქვს მყარად განრთხმული.
თუმც მომენატრე, მაგრამ, რადგან გადაგეჩვიე,
ვეღარ ვბრუნდები მიტოვებულ სივრცეებიდან.
და მონატრების მწარე განცდა კუზივით დამაქვს.
სხეულს მიმღვრევს და გავეშებით სულს მისიკვდილებს.
როგორ გამექცა — ყველა ფიქრი და აღმაფრენა,
დრომ წარიტაცა — თუ მე თვითონ დავასამარე?
ხშირად მგონია, რომ საბრალო ცრემლი დაბერდა,
რა გაამწვანებს გადაბუგულ რწმენის ტრამალებს.

არადა, მართლა სულ სხვა იყო ის გაავება,
ის სილამაზე ურჩხულისჯან გამოძერწილი.
მივდივარ, ხშირად დაკორტნილი ხელის გულებით
ვეცემი მიწას, როგორც მწირი ხორბლის მარცვალი.
და მეშინია დაკარგული სულის ამბოხის.
უფალო, გვედრი, სასოდმყავი შენს უცვლელ კერპებს,
აღარ არსებობს ჩემი ზეცის ლურჯი ტატნობი.
გადაფანტული, გადახნული მიწის ბელტებქვეშ
ვწევარ და ვფიქრობ. იმ ძველ ხილვებს ვებღაუჭები,
უცრემლო თვალნი დაიშრიტნენ, ჩამოიქუფრნენ...
აღარ ვარსებობ, სივრცეებში ვარ ჩაკარგული...
...გადავეჩვიე შენთან ყოფნას და მაინც გნატრობ —
ჰაერში გეძებ, წვიმებს ვანჭღრევ, ღმერთს ვევედრები,
უკანასკნელად თუნდაც ერთხელ შენთან შეხვედრას,
თუმცა ამაოდ, უდაბნოში ვეყეფ და ვღაღადებ.
ო, განმერიდე, მარტოობის მშიერო განცდავ.
ახლაღა მივხვდი ჩემი ლაბა ხარების ზმუილს —
თუ რა სცოდნია
დაკარგული სამშობლოს განცდას,
გვიანღა ვხვდები, სივრცე რატომ მეუცხოება,
რად აღარ მიყვარს ძველებურად მზე და წისქვილი,
მე მონატრების მწარე სევდა კუზივით დამაქვს.
სხეულს მიმღვრევს და გავეშებით სულს მისიკვდილებს,
უცრემლო თვალნი დაიშრიტნენ, ჩამოიქუფრნენ...
აღარ ვარსებობ, სივრცეებში ვარ ჩაკარგული...

---

## ამ ტრიალ ქვეყანაზე

### გაიზრდება სუბსიდირებული ღორის ხორცის რაოდენობა

ამერიკის შეერთებული შტატები გეგმავს გაზარდოს ღორის ხორცის სუბსიდირებული გაყიდვა სომხეთში, ბელარუსში, საქართველოში, ყაზახეთში, მოლდოვაში, რუსეთსა და უკრაინაში. 2 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის მინისტრმა მაიკ ესპიმ გამოაცხადა, რომ სამინისტრო გასაყიდად დამატებით გამოყოფს 20 ათას ტონა ღორის ხორცს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური საექსპორტო პროგრამა, რომლის ფარგლებში ამერიკელ ექსპორტიორებს ეძლევათ ზედმეტი საქონელი ან ფინანსური დახმარება იმისათვის, რომ წარმატებით კონკურენცია გასწიონ საექსპორტო ბაზრებზე. — ეს პროგრამა ამერიკელ მწარმოებლებსა და ექსპორტიორებს საშუალებას მისცემს გახდნენ საიმედო მომწოდებლები ახალ ბაზრებზე ამერიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის, — განაცხადა ესპიმ. ჩვენ ვხედავთ რეალურ პოტენციალს მომავალში ამ ბაზრების გასავითარებლად, თუ ღორის ხორცის ამერიკელი ექსპორტიორები შეძლებენ წარმატებით კონკურენცია გაუწიონ ევროპელებს, რომლებსაც სახელმწიფოები უწევენ სუფსიდირებას, მაიკ ესპიმ აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება — გააფართოონ ღორის ხორცის სუბსიდირებული გაყიდვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ამერიკის შეერთებული შტატები ღორის ხორცის გლობალურ ექსპორტს 10 პროცენტით გაზრდის.

### პოლიტიკა არ შეიცვლება

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა სეულში თავისი ვიზიტის დროს კვლავ დაუდასტურა სამხრეთ კორეელ ხელისუფალთ, რომ ვაშინგტონის პოლიტიკა კორეის ნახევარკუნძულის ორივე ნაწილისადმი არ შეიცვლება. მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ძველებური დარჩება იმის მიუხედავად, რომ კონგრესში კონტროლი დემოკრატებიდან რესპუბლიკელთა ხელში გადავიდა. კრისტოფერი ირწმუნებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს გაატაროს ამას წინათ ჟენევაში ხელმოწერილი შეთანხმება ბირთვული უშიშროების საკითხზე, რომლის შესაბამისად ჩრდილოეთ კორეამ გაყინა თავისი ბირთვული პროგრამა და თავისი ბირთვული ობიექტების საერთაშორისო ინსპექციაზე დათანხმდა იმის სანაცვლოდ, რომ გაუმჯობესდება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. კრისტოფერმა აგრეთვე თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება სამხრეთ კორეასთან, როგორც თავის ძველ მოკავშირესთან, უცვლელი დარჩება.

### პრეზიდენტ ბილ კლინტონის პრესკონფერენცია

თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შუალედურ არჩევნებს, რომელშიც რესპუბლიკურმა პარტიამ სენსაციურ გამარჯვებას მიაღწია, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის ითანამშრომლოს კონგრესის ახალ შემადგენლობასთან. პირველად უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე რესპუბლიკურმა პარტიამ მოიპოვა გამარჯვება კონგრესის ორივე პალატაში. პრეზიდენტმა ეს იმით ახსნა, რომ ვაშინგტონში ძალზე ხშირი იყო პარტიათა შორის კონფლიქტები და „ცოტა იყო რეფორმები“, რაც მისი აზრით იმის მიზეზი გახდა, რომ ამომრჩევლებმა კონგრესში ახალი პირების მოსვლა ისურვეს.

---

# ოლიმპიური ჩემპიონი—მინისტრი

**პრეზიდენტები** იცვლებიან, მინისტრები რჩებიან. უფრო ზუსტად — რჩებიან პროფესიონალი მინისტრები.

უკრაინაში ასეა.

პროფესიონალებზეა ლაპარაკი, ვინც იცის და ვისაც შეუძლია. ვინც საქმეს, დარგს, სისტემას (ნებისმიერს) უძღვება როგორც ლიდერი. თუ შენ, მინისტრი, პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკის დროს კარგად მუშაობდი, ესე იგი, მისი ხელისუფლების (გნებავთ, პიროვნული ავტორიტეტის) განმტკიცებას კარგად იყავი შეხიდული, დაკავებული თანამდებობიდან კი არ გაგათავისუფლებენ ამის გამო, არამედ სწორედ ამის გამო წინადადებით მოგმართავენ — განაგრძე მოვალეობის შესრულება. • ასეა პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას დროს, რადგან მან, ყოფილმა პრემიერმა სხვაზე უკეთ იცის, ვინ რად ღირს. ეს ერთი და, მეორე, ახალი პრეზიდენტისთვის, რომელიც ქვეყნის სათავეში მოსვლის დღეთა მეორე ასეულის ათვლას შეუდგა, მთავარია—კაცი პროფესიონალი, კაცი პატიოსანი. მეშჩანურ-ობივატელური პრინციპი — რახან წინამორბედის „გუნდში“ იყო, ჩემთან არ იმუშავებს, მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

უკრაინის ახალი პრეზიდენტი პრაგმატიკოსია და — უმართლებს. არ შეიძლება, არ გაუმართლოს. მხოლოდ ჩვენთან იყო ფესვგადგმული სინდრომი, — თუ ადრე სხვასთან მუშაობდა, ახლა ჩემთან ვერ იქნებაო, ეშინოდათ თითქოს. მერე თითქოს გადავლახეთ ზღვარი, და მაინც ვერ მოვერიეთ გაუგებარ შიშს — ვინმემ რამე არ თქვას, მორალურ წნეხს, რომელიც ჩვენ თვითონ შევქმენით.

გაუმართლა-მეთქი უკრაინის პრეზიდენტს, საერთოდაც, და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრშიც, კერძოდ.

რადგან მინისტრია ვალერი ბორზოვი, 45 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელიც სპორტულ ენციკლოპედიებში მოიხსენიება როგორც ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი, 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელი 100 და 200 მეტრზე რბენაში, 4X100 ესტაფეტაში ვერცხლის მედალოსანი.

ეს თარიღი და ეს ფაქტი მისი სპორტული კარიერის მწვერვალია. მწვერვალი, რომელიც დღემდე ვერც ერთმა თეთრკანიანმა სპორტსმენმა ვერ დაიპყრო.

**კიევში ამ ოქროს შემოდგომაზე გახლდით. საქართველოს დელეგაციის მასპინძლობა პრეზიდენტმა ვალერი ბორზოვს თხოვა. მან სიამოვნებით მიიღო დავალება და გვერდიდან არ მოგვცილებია.**

**ცოდვა იყო ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა, და გთავაზობთ ინტერვიუს ვალერი ბორზოვთან, უკრაინის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრთან.**

**— ალბათ, ძალიან ხშირად უკითხავთ თქვენთვის, რა უფრო ძნელია, სუპერსპორტსმენობა თუ სპორტის ხელმძღვანელობა? როგორ უპასუხებდით ხოლმე, ამ შეკითხვას?**

— ერთიც ძნელია და მეორეც. ორივეს სიძნელის თავისი სპეციფიკა აქვს. ძირითადი მაინც ისაა, მგონი, რომ სპორტში შენვე შეგიძლია საკუთარი შესაძლებლობებისა და მიზნების რეალიზაცია. ხელმძღვანელობის დროს კი სხვა ადამიანებთან გვაქვს საქმე, რომლებმაც შენი ჩანაფიქრი უნდა განახორციელონ.

თუ პირველ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა შენ გაწევს, მეორეში — პასუხისმგებელი შენა ხარ, შესრულება კი სხვა, კონკრეტულ ადამიანებზეა დამოკიდებული.

**— პირველ შემთხვევაში თქვენ „საქმე კარგად გამოგდიოდათ“, ახლა?**

— თუ იმ შედეგებით ვიმსჯელებთ, რომლებსაც უკრაინამ სპორტში მიაღწია, თითქოს არც ისე ცუდად უნდა იყოს საქმე. სხვათაშორის, უკრაინაში სპორტი იმ იშვიათ დარგთა შორისაა, რომლებიც კონკურენტუნარიანია დღეს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სწორედ ამ მდგომარეობის შენარჩუნებისთვის ვიღვწით. თუ არ გაგიკვირდებათ, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვუთმობთ ბავშვთა სპორტს ანუ იმ რეზერვის პრობლემას, რომელმაც მომავალში უკრაინისთვის უნდა „იმუშაოს“.

**— თქვენ ერთადერთ თეთრკანიან სპორტსმენად რჩებით, ვინც ოლიმპიადის სპრინტერულ დისციპლინებში — 100 და 200 მეტრზე რბენაში მოუგო ზანგ ათლეტებს. შეიძლება ამ შედეგის გამეორება?**

— მე მგონი, რომ შეიძლება, რადგან სტატისტიკა ამას ადასტურებს — თეთრკანიანი სპრინტერები ხმარჯვებენ ოლიმპიურ თამაშებზე, თუმცა ზანგებზე გაცილებით იშვიათად. მაგრამ კონკრეტული და სწორი პასუხის გასაცემად ისტორიული სტატისტიკისა და დღევანდელი მდგომარეობის ანალიზია საჭირო. მის საფუძველზე უნდა გაკეთდეს გათვლები, რაც, ვფიქრობ, არ გამორიცხავს დადებით პასუხს თქვენს შეკითხვაზე.

მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპრინტის სპეციფიკას, კერძოდ, კუნთების მაქსიმალურად დაძაბვისა და მოდუნების სწრაფ მონაცვლეობას შესანიშნავად ესადაგება აფრიკული ცეკვების თავისებურება — მოძრაობის ელემენტები, რიტმი. ეს ერთი. მეორე, ბიოლოგიური თავისებურებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში. მათი ჩონჩხის ძვლები მასის ერთეულზე გაცილებით მსუბუქია, ვიდრე კუნთების ხვედრითი წონა. თეთრკანიანებში პირიქითაა. კუნთები კი, მოგეხსენებათ, მამოძრავებელია. ისიც ცნობილია, რომ ურბანიზაციის პროცესი შავკანიანებს გაცილებით ნაკლებად შეეხო, ბუნებრივ პირობებთან, მოძრაობასთან ისინი ჩვენზე უფრო ახლოს დგანან. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, პლიუს წვრთნის თანამედროვე მეთოდები, მეთოდიკა, სკოლა და ყველაფერი დანარჩენი აყალიბებს ზანგი სპრინტერების ფენომენს.

**— ფეხბურთი კვლავ ყველაზე პოპულარული სპორტია უკრაინაში?**

— რა თქმა უნდა.

**— რა მდგომარეობაა თქვენს ფეხბურთში? ჩვენ აქ ბევრი პრობლემა გვაქვს და ამიტომ გეკითხებით.**

— პრობლემები ყველას ერთნაირი გვაქვს: მწვრთნელთა კადრები, დაფინანსება და საზღვარგარეთ სპორტსმენთა გადინება. თუ მეორე პრობლემას მოვაგვარებთ, ალბათ, სხვა დანარჩენსაც ეშველება. მაგრამ სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტაა დღეისთვის ყველაზე რთული. ამიტომ ჩვენი სამინისტრო ბევრ ისეთ ეკონომიკურ სტრუქტურას ქმნის და ამუშავებს, რომლებზეც ადრე არც გვიფიქრია. რას იზამ, სხვა გზით სახსრების მოზიდვა თითქმის შეუძლებელია — სახელმწიფოს „ქერის ორმო“, საიდანაც სპორტი „იკვებებოდა“, ცარიელია.

**— სპორტსმენთა საზღვარგარეთ წასვლა, ერთის მხრივ, თითქოს პრესტიჟულია — ჩვენს მსოფლიო კლასის ათლეტები, მაგრამ, მეორე მხრივ, ეცემა ეროვნული სპორტის დონე, ქვეყნის შიდა შეჯიბრებებისადმი ინტერესი კლებულობს. ეს, თავისთავად, სპორტისადმი ინტერესის შენელებას უწყობს ხელს, რაც სპორტის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. როდის გაჩერდება ეს მოჯადოებული წრე და როდემდე უნდა ვულოცოთ ჩვენს ლეგიონერებს სხვათა დასამარცხებლად?** •

— მე მგონი, რომ ეს პროცესი არ დამთავრდება, ნაკადის შემცირება კი შეიძლება. გაცილებით ნაკლები სპორტსმენი დატოვებს ქვეყანას, თუ მათ ცხოვრებისა და წვრთნის, შეიძლება ვთქვათ — მუშაობის ნორმალურ პირობებს შევუქმნით, რადგან სპორტს, მადლობა ღმერთს, უკვე როგორც სამუშაო პროფესიას ვუყურებთ. და კიდევ: როდესაც გვექნება ეროვნული კონვერტირებადი ვალუტა, მათი საქმიანობაც ღირსეულად დაფასდება და საზღვარგარეთისკენ ბევრს თვალი აღარ გაექცევა.

ერთმა ჩემმა უცხო[illegible] ლეგამ მკითხა და [illegible] სუხა თავისსავე [illegible] როდის დამთავრ[illegible] პროცესი? — მ[illegible] დასავლეთის [illegible] ვაკანსიას შეავს[illegible]

**— თქვენ გამ[illegible] უანსს, რომ ჩვ[illegible] ბი იაფი ღირს? [illegible] კუთხით“ თუ შევხედავთ [illegible] ლემას, მაშინ მიგრაციის პროცესი ახლო მომავალში, ალბათ, მაინც ინტენსიური იქნება.**

— ჩვენი სპორტსმენები საზღვარგარეთ, რასაკვირველია, დემპინგურ გასამრჯელოს იღებენ. ეს ცნობილი უბედურებაა. მაგრამ ნუ გამორიცხავთ, რომ არსებობს პატრიოტიზმი, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, გაიხსენებენ, და იგი გადამწყვეტი ფაქტორი იქნება.

**— სპორტს მთლიანად დაანებეთ თავი?**

— მხოლოდ ჩემთვის მივდევ: დავრბივარ, ვთამაშობ ჩოგბურთს, ვცურავ კვირაობით. საქმეს მთელი დრო მიაქვს, ოჯახისთვისაც იშვიათად ვიცლი.

**ცნობისთვის: ვალერი ბორზოვის ცოლია ლუდმილა ტურიშჩევა — უბრწყინვალესი და ულამაზესი სპორტული ტანვარჯიში, ისიც ოლიმპიური ჩემპიონი.**

**არმაზ სანებლიძე.**

**სურათზე:** ასე მთავრდებოდა ვალერი ბორზოვის ყველა ფინიში.

---

# გაშიფრული დეტალები 8 ნოემბრის პარლამენტის სხდომიდან და ბევრი დარჩენილი კითხვა

ფაქტის კვალზე

იყო შეკითხვა, იყო პასუხიც... და, მაინც ვარჩიეთ მშვიდ ატმოსფეროში გავსაუბრებოდით მათ ავტორებს. მერე — სხდომის მეორე დღეს: — რას ეტყოდით ასეთ ვითარებაში თენგიზ კიტოვანს?

### ადა მარშანია:

## „სიმართლის დადგენა ჩემთვის მაინც აქედან იწყება“

— ბატონო თენგიზ: ბოლოს და ბოლოს თქვით, რატომ მოხდა 14 აგვისტოს ისეთი უკუღმართი, ასე ვთქვათ, დანაშაულებრივი, შესვლა აფხაზეთში და არა ისეთი, როგორიც დაგეგმილი და შეთანხმებული იყო ვლადისლავ არძინბასთან? ეს ჩემი ძირითადი შეკითხვა კიტოვანისადმი. მან კი პირდაპირ არ მიპასუხა. როცა შეკითხვა რამდენჯერმე გავუმეორე (განა იმას ვედავები ვინმეს, ან ეჭვის ქვეშ ვაყენებ, რომ ჩვენი ჯარი ჩვენს ტერიტორიაზე უნდა გადაადგილდეს, ფსოუმდეც მივიდეს და რკინიგზაც დაიცვას, ამაზე არ არის ლაპარაკი), მიპასუხა, რომ არავითარი სამხედრო ხელშეკრულება და შეთანხმება არ დამირღვევიაო. მერე შევახსენე სახელმწიფოს მეთაურის უკვე ბოლო ხანს არაერთგზის ნათქვამი, რომ ბატონმა თენგიზმა დაარღვია ის წესი, რა წესითაც უნდა შესულიყო იქ ქართული ჯარი. ეს ხომ სახელმწიფოს მეთაურს ბოლო დრომდე არ უთქვამს. პასუხი კი ამაზე, ვფიქრობ, არა მარტო მე, მთელ საქართველოს აინტერესებს...

14 აგვისტოს ვეძებდი ბატონ თენგიზს. იმ გაუგებარ სიტუაციაში, როცა სოხუმში რაღაც კატასტროფული მოხდა, უნდა მენახა იგი, რადგან შემიძლია თამამად ვთქვა, რომ აფხაზეთის თითქმის მთელი მოსახლეობა გაოგნებული იყო. ვერ ვნახე. როგორც ჯარისკაცებმა მითხრეს, იგი იმ დროს ქუთაისში იმყოფებოდა. არ მომეწონა. არადა, 14 აგვისტოს ძლივსძლივობით მივაღწიე ჩვენი ჯარის შტაბამდე (სახელმწიფო საბჭოს წევრობის საბუთი დიდად დამეხმარა ამაში), რადგან ვფიქრობდი, რომ რაღაც უნდა მეღონა, გამეკეთებინა. რა უნდა გამეკეთებინა? განა მე დამიჯერებდა ბატონი თენგიზი? მაგრამ უნდა მენახა და მეკითხა: რა ხდებოდა? სამწუხაროდ, იმ ტრაგიკულ დღეს იგი სოხუმში არც ჩამოსულა. ამაზე ვითხოვდი პასუხს 8 ნოემბერსაც, მაგრამ არ მიპასუხა, როცა ჩავაცივდი, განაცხადა (ორჯერ თქვა), რომ არავითარი სამხედრო ხელშეკრულება არ დაურღვევია, წესით და რიგით შევედი სოხუმშიო. მერე დაიწყო ახსნა-განმარტება: იმათ ისროლეს, ჩვენებმა მოკლეს, აფხაზები პირველებმა არ მოგვიკლავს. ეს უკვე სხვა საკითხია. არძინბა ვინ არის, ეს მე ბავშვობიდან ვიცი და მის დასაცავად არ ვირჯები. მე ვამბობ, რომ ჩვენ, ჩვენი მხრიდან, იმ ფაშისტისთვის საბაბი არ უნდა მიგვეცა.

**— თქვენ თენგიზ კიტოვანს უბედური კაცი უწოდეთ...**

— უბედურია, და მე მართლა მეცოდება ბატონი კიტოვანი, მეცოდება როგორც ადამიანი, რომლის კისერზე უზარმაზარი ცოდვაა. რა თქმა უნდა, არა მარტო მის კისერზე. მე ვთვლი, რომ, რაც იქ მოხდა, მეტნაკლებად ყველა ჩვენგანის ბრალია, გარკვეულად — ჩემიც. მე ვგულისხმობ იმ კატასტროფას, იმ შედეგს, იმ ყველაფერს, რაც მოხდა. და ვიმეორებ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ბატონი კიტოვანის დანაშაული და ბრალი არ არის, მაგრამ ჩემთვის სიმართლის დადგენა მაინც აქედან იწყება.

ისიც კარგად ვიცი, რომ 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი გაცხადდა, თორემ იქ რომ მანამდე სულ ომი იყო და, საერთოდ, რაც იქ ადრე ხდებოდა, დეტალებში ვიცი. ბატონი კიტოვანი კი, რა თქმა უნდა, უბედური ადამიანია და, დამერწმუნეთ, მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი წყევლა-კრულვით იხსენიებს მას. ნუთუ ყველა ეს ხალხი ტყუის? ნუთუ ამაში სიმართლის მარცვალი არ არის და უსაფუძვლოდ სწყევლიან?

ისიც, რომ თავის დროზე არ დავსაჯეთ ჩვენი თავდაცვის მინისტრი, ჩემი ბრალიც არის. მაშინ ბატონი ედუარდი სახელმწიფოს მეთაური არ იყო. არც მხოლოდ მას უნდა გაეკეთებინა ეს. ჩვენ, სახელმწიფო საბჭოს უნდა მიგვეღო ზომები და რამე ფორმით დაგვესაჯა მაშინდელი თავდაცვის მინისტრი, რომელსაც იმ ამოცანის აღსრულება დაავალეს, რასაც აფხაზეთში წესრიგის დამყარება და რკინიგზების დაცვა ერქვა.

**— თქვენ ისიც თქვით, რომ ამჟამინდელი საქართველოს ერთ-ერთი უბედურება ბატონი თენგიზ კიტოვანიც არის.**

— მერედა, ეს ასახსნელია? მე მგონია, ბატონმა თენგიზმა ძალიან კარგად გაიგო, რასაც ამაში ვგულისხმობდი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიგრძენი...

### თენგიზ კიტოვანი:

## „მე ჩემსას მაინც დავიბრუნებ“

— ეტყობა მარშანიამ არ იცის ის საიდუმლოება, რაც ხდებოდა არძინბასა და ჩვენს შორის, რამდენ დათმობაზე მივდიოდით, რამდენი რამე შევთავაზეთ, რამდენი სიკეთე გავუკეთეთ; რამდენი ხალხი, სამხედრო, ვინც ჩვენ გვებრძოდა, აფხაზები გავათავისუფლეთ, გავუშვით. სხვათა შორის, არც გაგვიცნია, ისე გავუშვით. 260 აფხაზი მარტო ციხიდან გავათავისუფლეთ.

არავითარი საომარი მოქმედება საქართველოს არ უნდოდა. მე ორჯერ ჩავედი არძინბასთან, ვესაუბრე, მაგრამ ამ კაცთან საუბარი არ შეიძლებოდა. ამ კაცს უნდოდა ძალისმიერად მორეოდა ქართველებსა და ქართველების გენოციდი განეხორციელებინა. ეს კი ჩვენი დაზვერვის მონაცემებით 17 აგვისტოდან 21-ამდე უნდა მომხდარიყო. ომის დაწყება მათ უნდოდათ. 10-15 დღით ადრე სოხუმში კონფედერანტთა ყრილობა გამართეს. ის ხალხი ყველა იქ დარჩა. მათში არცერთი ქალი არ იყო და ემზადებოდნენ ქართველი ხალხის წინააღმდეგ საომრად. ეს კარგად ვიცოდით ჩვენ.

აფხაზეთის ომს დღეს ნურავის გადავაბრალებთ, ეს სამარცხვინოა. ის, რაც ყველა ქართველ პატრიოტს სწამდა, რომ უნდა აგვეცილებინა გენოციდი, რომელიც უნდა მომხდარიყო, დროებით შევაჩერეთ.

იყო ხიდების აფეთქება, ძარცვა, ყაჩაღობა, მძევლების აყვანა, ეს იყო აფხაზების მიერ პროვოცირებული, რომ ჩვენ დაგვეწყო რაღაც. ჩვენ სრულებითაც არ ავყევით, მაგრამ ჯარების გადაადგილება კი დავიწყეთ იმისათვის, რომ ქართველი ხალხის გენოციდი ჩაგვეშალა.

**— თვლით თავს უბედურ კაცად?**

— ამას არცერთი ადამიანი არ იტყვის თავის თავზე და მით უმეტეს მე, როცა ჩემი ერის ნებას ვასრულებდი. ბევრი, როცა ერის ნებას ასრულებს და აკეთებს იმას, რაც სჭირდება ქართველ ხალხს, სხვა ერისთვის შეიძლება უბედურება და ტრაგიკული იყოს.

იცით, მე მარშანიასი არც გამკვირვებია, ეგ ქალი ოდესმე დასვამდა ამ კითხვას. იმას რატომ აღარ ამბობს, რომ აფხაზებმა გაუბედურებული 300 ათასი ქართველი ლტოლვილად აქციეს, ქალებს სწვავდნენ და აუპატიურებდნენ? აფხაზები ხომ მისი ერია? ვინ არის უფრო ტრაგიკული? მარშანია თუ მე? მეც თავისუფლად შემეძლო დამესვა მისთვის კითხვა: ქალბატონო ადა, რახან აფხაზმა სეპარატისტებმა მოაწყვეს ქართველი ხალხის გენოციდი (ეს ყველასთვის ცნობილია), ამიტომ თქვენ ტრაგიკული ბრძანდებით-მეთქი? არ შეიძლება ამის თქმა. ეს ვიღაცის დავალება იყო და ძალიან ცუდად შესრულებული მელოდრამა.

**— პარლამენტში თქვენი პასუხები გასაკვირად მშვიდი იყო.**

— მე პირადად შეურაცხყოფა იმდენჯერ მომაყენეს, რომ ამას უკვე კარგად ვიტან. მაგრამ, როცა ერი შეურაცხყოფილია მთლიანად, ვმძვინვარდები. ვერ ვიტან ერის შეურაცხყოფას. პირადული გულმა უნდა აიტანოს. ამბიცია არ უნდა გაწუხებდეს.

მე ბევრჯერ მიტირია დაღუპულ ახალგაზრდებზე, რომლებიც შეეწირნენ, მართლა გულით იბრძოდნენ. ისეთმა ახალგაზრდებმა მოჰკიდეს იარაღს ხელი, ვისაც თავისი სამშობლოს ერთიანობა და დამოუკიდებლობა სწამდათ. ასეთი ხალხი უფრო მეტი დაიღუპა, ვიდრე უქნარა და ნაძირალა, რომლებსაც ჩვენ როცა ვომობდით, აქ მუთაქებზე ეძინათ, სვამდნენ „წამალს“ იკეთებდნენ, იარაღით ხვრეტდნენ რესტორნების ჭერს... იქ ხალხი ომობდა და აქ ესენი ერთმანეთს შეურაცხყოფდნენ და ხოცავდნენ.

ისიც უნდა ვთქვა, რომ 1200-ზე მეტი კაცია ურთიერთქიშპობითა და გამოძალვის მიზნით დახოცილი. ეს 1200 კაცი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ომშიც ბევრს გააკეთებდა. ორ-სამ წელიწადში 1200 მკვლელობა გაუხსნელია. გახსნილზე არ ვლაპარაკობ, სისასტიკით რომ არის ჩადენილი. სუყველაფერი ეს ძალიან უარყოფითად მოქმედებს ერზე და ამ კრიმინოგენულ ვითარებას მეტი დამანგრეველი ძალა აქვს საქართველოსთვის, ვიდრე სხვა ომებს.

შინაომი საშინელებაა. რამდენი პოლიტიკური მკვლელობაა ჩადენილი, არცერთი გახსნილი არ არის. მკვლელები კი იციან, მათ ვიღაცა მფარველობს. მოვლა უნდა ამას ყველაფერს. თორემ ჩვენთან დაუსჯელობა იმდენად გაიზარდა, რომ კაცის მოკვლა და შეურაცხყოფა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და ამას ხალხი მიეჩვია.

რაღაც კანონი უნდა არსებობდეს. თუ კანონი არ არსებობს, ალბათ, ეს უფრო მეტი დანაშაულია საქართველოსთვის და იმ საკანონმდებლო ორგანოსათვის, რომელიც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. ამოდენა ჯარების რახა-რუხი, აღლუმები, ეს ყველაფერი ხალხის დასაშინებლად არის. ჩვენს ხალხს კი ისედაც იმდენი სიმძიმე აქვს გადატანილი, ეს არ სჭირდება. პირიქით, დღეს ეროვნული სული უნდა წამოიწიოს იმდენად, რომ ერი გამთლიანდეს. იგი ერთიანი უნდა იყოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხის გადაწყვეტაში. ეს ერის გადასაწყვეტი უნდა იყოს და არა ცალკეული პოლიტიკოსებისა.

**— კავშირგაბმულობის მინისტრთან დავაზეც იქნებ თქვათ რამე?**

— ნამდვილად ვიყავი ინჯიასთან, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა თქვა — იარაღით არა, მაგრამ ის, რაც ჩვენი რელიკვია იყო (თქვენ კარგად იცით, სადაც სწვდებოდა, მთელი თბილისი უსმენდა ჩვენს გადაცემებს)* და შესანახად ჰქონდა მას, კი მოვთხოვე. ორი გვქონდა. ერთი — აფხაზეთის ქართველებს მივეცი მაშინ, როცა იქ ქართული გადაცემები აკრძალული იყო, და ქართველ ინტელიგენციას, მოსახლეობას არ ჰქონდა ტელევიზიით გამოსვლის უფლება. მეორე — ინჯიას ჩავაბარე. მას დიდი ღვაწლი აქვს, ბევრი კარგი გააკეთა და იშრომა, ვერ დავუკარგავ, მაგრამ ჩემი საკუთრება მოვთხოვე. არ შეიძლება? ინჯიას, იცით, რისი შეეშინდა? ვაი-თუ კიტოვანს ეს მივეცი, ამან დაიწყო არალეგალური გადაცემები და თანამდებობიდან მომხსნიანო.

მე რაში დამჭირდებოდა არალეგალური გადაცემები, როცა თავისუფლად შემიძლია მივიდე ტელევიზიაში და რაც მინდა, ისა ვთქვა? არც გოგელიას მოვერიდები, ჩემს სათქმელს ვიტყვი და გადავაცემინებ კიდევაც. ინჯიას კი თავისი ადგილი რომ შეენარჩუნებინა, აწონა, გაზომა და უარი მითხრა. მინისტრს არ გაემტყუნება... თუმცა, მე ჩემსას მაინც დავიბრუნებ.

ესაუბრა
**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

---

* თენგიზ კიტოვანი გულისხმობს მობილურ სატელევიზიო გადამცემ ტექნიკას (რედ.).

## ინფორმაცია

კრიმინალური ქრონიკა

### „ნავთობის მაგნატების" დასასრული?

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, შინაგანი ჯარის საინჟინრო სამსახურისა და პოლიციის ადგილობრივი განყოფილების ძალებით საგარეჯოს რაიონის სოფლებში — კაკაბეთში, პალდოში, ე. წ. მუხახთან და სხვაგან განადგურებულია 65 კუსტარული ნავთობსახდელი, ანუ, უფრო ზუსტად — ქვაბები.

ეს, ერთის მხრივ, ნავთობის ბრაკონიერების წინააღმდეგ რეალური ბრძოლის გამძაფრებას ნიშნავს, და — კარგია. მაგრამ, ნახეთ, მაინც რამდენი „როტშილდი" ყოფილა საგარეჯოს რაიონში?

ამბობენ, — უფრო მეტს ნახავთო.

### გნებავთ — ქურდი, გნებავთ — ბიზნესმენი

სახელმწიფო ქონების ქურდებსა და დამტაცებლებს დღეს ბიზნესმენები დავარქვით და ასეთი ტრანსფორმაცია სოციალისტური ეკონომიკის მოშლით ავხსენით.

აღარ არის ავადსახსენებელი ტოტალიტარიზმი.

სამაგიეროდ, სახალხო ქონების ქურდები ისევ არიან.

ზესტაფონში ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციას [illegible] იპარავდნენ.

პოლიციამ განახორციელა ოპერატიული ღონისძიება და ამ ქარხნის მეხანე [illegible] სადგურთან [illegible] ხარაგაულის [illegible] რმარილოს [illegible] ავტომანქანა „კრაზი" [illegible] მწიფო ნომერი [illegible]), რომელიც [illegible] იყო სილიკომ[illegible]. როგორც ყ[illegible] შემთხვევაში, [illegible] ლი და თანმხლ[illegible] ბი მიიმალნენ.

პოლიციელებმ[illegible] და ცოტა ხნ[illegible] დააკავეს: ფერ[illegible] თა ქარხნ[illegible] რის ბრიგადი[illegible] ნილი, თერჯოლ[illegible] სოფელ რუფ[illegible] რი თემურ ვლ[illegible] ჭანკვეტაძე, ამ[illegible] ობ ოსტატი, [illegible] გიზო ვაჟას ძე [illegible] ვილი და (ყურადღება!) — ზესტაფონის რაიონის საკუთრების დაცვის პოლიციის ოცმეთაური გიორგი გიორგის ძე ბაბუაძე.

გნებავთ ქურდები უწოდეთ ამათ, გნებავთ — ბიზნესმენები, და ქარხნიდან 20 ტონა სილიკომანგანუმის გატანას კი ცდილობდნენ, ეს პროდუქცია სახელმწიფო [illegible] 21 მილიონი კუპონი ღირს.

სილიკომანგანუმი მეორე [illegible] ბრიგადის ხელმძღვანელისა და ოსტატის [illegible] დაუბრუნეს.

### არავითარი გამართლება, მაგრამ...

მაგრამ ხალხმა თავისი განაჩენი გამოუტანა მკვლელს.

30 ოქტომბერს ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის საზაფხულო იალაღზე იპოვეს შურა ბარათალის ასულ ირემაძის გვამი (იქვე მცხოვრები, დაბადებული 1939 წელს).

პოლიციის მუშაკების განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ შ. ირემაძე ცეცხლსასროლი იარაღის შემთხვევითი გასროლით მოუკლავს სოფელ გორგაძეებში მცხოვრებ ხვედრიან ლისას ძე გორგაძეს. ტრაგედიას, როგორც დგინდება, წინ უსწრებდა მათი შელაპარაკება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მკვლელი ხალხმა ჩაქოლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მასალების მიხედვით.

ხვალე

## ჭიათურას—აქაურთა თანადგომა

ქალაქ ჭიათურის გამგეობის ახალი თავმჯდომარის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნუგზარ სამხარაძის თაოსნობით იურიდიულმა და ინდივიდუალურმა პირებმა დააფუძნეს და გამგეობის გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გაატარეს ჭიათურის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონდი, რომლის შესაძლებლობანი მიმართული იქნება მოსახლეობის სიდუხჭირის სალიკვიდაციოდ და ქალაქის აღმშენებლობისათვის. კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს ფონდის დამფუძნებელმა ჭიათურელებმა — რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ, თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილეებმა, გენერლებმა ვაჟა ბიწაძემ და ჯემალ ჭუმბურიძემ, „ტრანსბანკის" პრეზიდენტმა იგორ სამხარაძემ და სხვებმა.

ფონდის გამგეობამ მიიღო მიმართვა „ყველა ჭიათურელისადმი", რომელიც დაეგზავნათ რესპუბლიკასა და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულე ბიზნესმენებსა და სხვა მოღვაწეებს.

მოსკოვში ბიზნესმენმა ნუგზარ ცერცვაძემ გახსნა „ჭიათურელთა სახლი", სადაც გამოფენილია ჭიათურული პროდუქცია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

**სოზარ კუპატაძე.**

## საბანკო ნაკვესები

- ოჰ, რეკლამავ, რეკლამავ! — დღეს კვერცხი შემოიტანე და ხვალე ქათამს დაგიბრუნებთო.
- ფულებგამოტენილმა მუთაქამ ჩაიცინა: — ვინც უარყო მუთაქაო, ბედმა მწარედ უთაქაო.
- ყველაზე სანდო და უტყუარი ბანკი რომელია, და — „ბანკაო".
- ბაზარმა ჩაიცინა — მე ცეცხლი მიკიდია და ბანკში მეანაბრის ფულები იწვისო.
- ბანკმა ხელები დაიბანა და მეანაბრეს ხელის ჭუჭყი გაეცალაო.
- დალაქმა ჩაიცინა — მარტო ჩემი თავი მეგონა გაკოტრების ოსტატიო.
- ცოლმა შეახსენა ქმარს — რომელიღაც მოშიმშილემ პირი რომ ამოიკერა, ნეტავ მეც ის ჯიბე ამომეკერა, ბანკში შესატანი ფულები რომ გქონდა ჩადებულიო.

**ვახტანგ ჯავრიშვილი.**



რითია უკმაყოფილო ეს ხალხი?
ჩვენ მაგალითად, ყველა პირობა გვაქვს შექმნილი!
ვახტანგ კუციას ნახატი.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

არქეოლოგია

### გაირკვევა „ჩხარის ქვეყნის" საიდუმლო?

**ისტორიული** კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. ვანის, საირხის, კლდეეთის, ბორის, საჩხერის, ჭიათურისა თუ სარგვეშის აღმოჩენები საყოველთაოდ არის ცნობილი და როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს.

მაგრამ, სამწუხაროდ, არის ისეთი ადგილებიც, რომელთაც დღემდე არქეოლოგის ნიჩაბი არ შეხებია. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ისტორიული ჩხარის მდიდარი მიწისქვეშა საგანძური, რომლის შემოგარენი, მისი გეოგრაფიული, მატერიალური და კულტურის ძეგლები არაერთი გამოჩენილი მეცნიერის ყურადღებას იქცევდა.

და, აი, ჩვენი ცხოვრების ასეთ ურთულეს და უძნელეს ვითარებაში თერჯოლის რაიონის გამგებლის გიორგი ამირანაშვილის მხარდაჭერითა და დახმარებით ჩხარში დამკვიდრდა მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია.

ოქონის გორისა და მისი შემოგარენის შესწავლა ნათელს მოჰფენს ლეგენდარული „ჩხარის ქვეყნის" შორეულ წარსულს. „ოქონა მთლიანად უფრო ძირძველი ციხის, ანუ ციხე-ქალაქის ადგილს გვაგონებს"... ამბობდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. და აი, ექსპედიცია ჩაუჯდა ოქონის „არქივს".

**ჰენრი შარიქაძე.**

ძმობა

### საჩხერის ბაზარში ოსებმა ივაჭრეს

**ახლახან** რამდენიმე ოსი მეურნე ეწვია საჩხერეს, მათ თავიანთი ნათესავები და ნაცნობმეგობრებიც მოინახულეს და ბაზარში პროდუქტებიც გაიტანეს გასაყიდად.

— სხვიტორელი მეუღლე მყავს, მე და მარინა ზამბახიძე 17 წელიწადია ჯავის რაიონის სოფელ თედელეთში ვცხოვრობთ. ნორმალური ურთიერთობის აღდგენა ყველა ჩვენგანის უპირველესი მოვალეობაა, — თქვა ნოდარ (ალიბეგ) თანდილოვმა.

— რვა შვილი მყავს, ცხინვალში, ედისის ქუჩის 25-ე სახლში ვცხოვრობ, ოდითგან ქართველებთან ვიყავი, ვაფასებდი და მაფასებდნენ. ეს რა უბედურება დაგვმართეს!—წუხს ვიქტორ თედეევი.

საჩხერელი ნუკრი ლობჟანიძე, სიმონ ტყემალაძე და ვალერი ზამბახიძე მათ მასპინძლობენ,

— ამ დღეებში ცხინვალში ვიყავით და ჩვენც გულითადად მიგვიღესო, — თქვეს.

**სერგო სირაძე.**

პრემიერა

### სარტრის გმირები ქართულ სცენაზე

**თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში მიმდინარეობს სპექტაკლის „ეშმაკი და უფალი ღმერთი" უკანასკნელი რეპეტიციები, გამოჩენილი ფრანგი მწერლისა და ფილოსოფოსის ჟან პოლ სარტრის პიესის მიხედვით. სპექტაკლს დგამს რეჟისორი ლევან მირცხულავა.**

— ქართულ სცენაზე პირველად იდგმება ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსის ეს ურთულესი ფილოსოფიური ნაწარმოები, — თქვა დამდგმელმა. ეს სპექტაკლის მონაწილეებს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. რით მიიპყრო ჩვენი ყურადღება პიესამ?— ჯერ ერთი, პრობლემატიკის აქტუალობით, ფაბულის სირთულით; მეორე, იმით, რომ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, — იგი რეჟისორს, დასს შესაძლებლობას აძლევს უფრო სრულად გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი, იძლევა სცენური ექსპერიმენტის ფართო სარბიელს. ადამიანი, მისი შინაგანი სამყარო... ოდითგანვე მიმდინარე ბრძოლა კეთილსა და ბოროტს, ნათელსა და ბნელს შორის... აი ყველაფერი, თუ მოკლედ ვიტყვით. ჩვენ გვინდა, რომ სპექტაკლიდან წასული მაყურებელი ჩაუფიქრდეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ხელახლა გადასინჯოს თავისი შეხედულებანი დამკვიდრებულ ზნეობრივ კატეგორიებზე.

რუსთაველელთა ახალ სპექტაკლში, რომლის პრემიერა ნოემბერში უნდა გაიმართოს, მონაწილეობენ კახი კავსაძე, გოგი გეგეჭკორი, ჯემალ ღაღანიძე, ნანა ფაჩუაშვილი, მარინე კახიანი რუსლან მიქაბერიძე, ოთარ ზაუტაშვილი, ახალგაზრდა მსახიობები.

პიესა ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ, სცენოგრაფია ეკუთვნის გიორგი გუნიას, მუსიკალური გაფორმება — სოსო ბარდანაშვილს.

### საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 12 ნოემბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ავსტრალიური დოლარი | I, 382, 674. 27 | კუპონ |
| ავსტრიული შილინგი | I70, 740. I8 | კუპონ |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2, 948, 292. 49 | კუპონ |
| IO ბელგიური ფრანკი | 583, 839. 97 | კუპონ |
| გერმანული მარკა | I, 200, 9I3. 44 | კუპონ |
| ჰოლანდიური გულდენი | I, 07I, 345. 4I | კუპონ |
| დანიური კრონი | 306, 803. 48 | კუპონ |
| IOO იტალიური ლირა | II6, 973. 86 | კუპონ |
| კანადური დოლარი | I, 352, 747. 57 | კუპონ |
| ნორვეგიული კრონი | 274, 824. 08 | კუპონ |
| აშშ დოლარი | I, 835, 000. 00 | კუპონ |
| ფინური მარკა | 393, 087. 52 | კუპონ |
| ფრანგული ფრანკი | 349, 507. 75 | კუპონ |
| შვედური კრონი | 250, 978. 55 | კუპონ |
| შვეიცარული ფრანკი | I, 432, 583. 67 | კუპონ |
| IO იაპონური იენი | I87, 8I8. 34 | კუპონ |
| ეკიუ | 2, 284, 208. 24 | კუპონ |
| IO ესპანური პესეტა | I44, 203. 08 | კუპონ |
| IO ბერძნული დრაქმა | 77, 954. 96 | კუპონ |
| ირლანდიური გირვანქა | 2, 900, 950. 44 | კუპონ |
| ისლანდიური კრონი | 27, 4I2. 60 | კუპონ |
| ქუვეითური დინარი | 6, I53, 585. 54 | კუპონ |
| IO ლიბანური გირვანქა | II, 062. 06 | კუპონ |
| IO პორტუგალიური ესკუდო | II7, 796. I2 | კუპონ |
| სინგაპურული დოლარი | I, 249, 574. 66 | კუპონ |
| IO თურქული ლირა | 502. 82 | კუპონ |
| ეგვიპტური გირვანქა | 54I, 555. 7I | კუპონ |
| რუსული რუბლი | 585. 00 | კუპონ |
| ლიტვური ლიტი | 453, 667. 50 | კუპონ |
| ლატვიური ლატი | 3, 39I, 906. 05 | კუპონ |
| ესტონური კრონი | I48, 595. 85 | კუპონ |
| IOO უკრაინული კარბოვანეცი | I, 538. 55 | კუპონ |
| ყაზახეთის ტენგე | 34, 684. 65 | კუპონ |
| მოლდავეთის ლეი | 428, 09I. 30 | კუპონ |
| ყირგიზეთის სომი | I7I, I94. 40 | კუპონ |
| IO ბელორუსიის მანეთი | 2, I58. 65 | კუპონ |
| უზბეკეთის სუმი | 82, 485. 00 | კუპონ |
| აზერბაიჯანული მანათი | 883. 35 | კუპონ |
| სომხური დრამი | 4, 9I9. 85 | კუპონ |

**საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბან**

საქართველოს მწერალთა კავშირი თანაუგრძნობს პოეტ ხოზ ადეიშვილს მამის

**ივანე (ვანო) ადეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

## ეგენი საზღვარგარეთული რეკომენდაციებით მუშაობენ...

**ის იყო სარედაქციო საქმეებს მოვრჩი, რომ ოთახის კარი ვიღაც მაღალმა, ხმელ-ხმელმა მოხუცმა შემოხსნა. თავაზიანად მოიბოდიშა და აუცილებელი საქმის გამო ბატონ ვანო ოქროწონაშვილთან შეხვედრა მოითხოვა. ჩემს გასაკვირად მასთან დაკავშირება არ გამჭირვებია. სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ ჩვენი სახემლიმარი და ენერგიული ბიზნესმენი სტუმართან ხალისიანად მუსაიფობდა.**

**— ბატონო ვანო, მე ძველი ფინანსისტი, ამჟამად პენსიონერი ექვთიმე ჟურული გახლავართ. წლების მანძილზე ფინანსთა სამინისტროში მთავარ სპეციალისტად ვმუშაობდი.**

— სასიამოვნოა. მე, როგორც ბიზნესმენი, საქმიან ხალხთან შეხვედრას ყოველთვის ვესწრაფოდი.

**— ასეც ვიცოდი. თუმცა ის, რაც ახლა უნდა გითხრათ, პირველკლასელის საანგარიშო უფროა, ვიდრე ფინანსისტის, მაგრამ ვისაც კი განმარტება ვთხოვე (მთავრობაში, სამინისტროებში, დეპარტამენტებშიც კი დავრეკე) პასუხი ვერსაიდან მივიღე.**

— ვერც მიიღებდით. ეგენი საზღვარგარეთული რეკომენდაციებით მუშაობენ და ადგილობრივ პრობლემებზე ადგილობრივ პასუხს არ აძლევენ.

**— ღმერთო კი მომკალი, თქვენ ფიქრობთ, რომ რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გამო შეგაწუხეთ? არა, ბატონო, უბრალოდ, საოჯახო ბალანსი ვერ გამოვიყვანე და ამიტომ გეახელით.**

— საოჯახო კი არა, ხომ ხედავთ საქვეყნო ბალანსი (ბიუჯეტი) ვერ გამოუყვანიათ. მაინც რა ბალანსზეა ლაპარაკი?

**— უფრო სწორედ, დისბალანსზე — პენსია და გადასახადები ერთმანეთთან უზურში ვერ მოვიყვანე. თუ გაზის ფული გადავიხადე, პურს ველარ ვიყიდი, თუ პური ვიყიდე, მაშინ გაზს, წყალს, დენს, ტელეფონს გამომირთავენ. ყველაფერ ამას, ვთქვათ, მე ვერ ვითვლი, მაგრამ დავიჯერო მთავრობაშიც ვერ ანგარიშობენ?**

— რომ ანგარიშობენ, სწორედ ამიტომ გაზარდეს გადასახადები.

**— კი, მაგრამ, რის მიხედვით ანგარიშობენ?**

— საზღვარგარეთული რეკომენდაციების მიხედვით. ასე თუ არ მოიქცნენ, სახალხო მეურნეობაში, ბიუჯეტში, მთლიანად ეკონომიკაში მუდმივი დისბალანსი ექნებათ და რეფორმები ჩაუვარდებათ.

**— ხალხი თუ შიმშილით დაიხოცა, რეფორმები ვილასთვის სჭირდებათ?**

— სხვათა შორის, ასეთი კითხვა ამას წინათ ერთ-ერთ მინისტრსაც დაუსვეს.

**— მერედა, რა უპასუხა?**

— სჯობს ახლა ასი კაცი მოკვდეს, ვიდრე მერე ათასიო.

**— ნამდვილად ასე თქვა?**

— ნამდვილად. ეტყობა ის მინისტრი კარგი ფინანსისტია და რეფორმების გატარებას მცირე დანახარჯებით ამჯობინებს.

**— ალბათ, მინისტრებს და მთავრობის სხვა წევრებს ამიტომაც აქვთ მცირე ხელფასები?**

— სწორედ შეგინიშნავთ, მაგათ ხელფასები სხვებზე ნაკლები თუ არა, მეტი არა აქვთ.

**— პარლამენტში?**

— იქაც ასე არიან (თუ ბენზინით უზრუნველყოფის უპირატესობას არ ჩავთვლით).

**— მერედა, მცირე ხელფასებით დიდ გადასახადებს როგორ იხდიან?**

— ბატონო ექვთიმე, თქვენ გავიწყდებათ, რომ ჩვენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვცხოვრობთ და ხელფასის შემყურენი აღარა ვართ.

**— აბა, პენსია თუ არ მექნა, გადასახადები რით გადავიხადო?**

— აი, სწორედ მაგას გეუბნებით, თქვენ პრობლემას ისევ ძველი თვალთახედვით, კომუნისტურად უდგებით.

**— კი, მაგრამ, კომუნისტები ვითომ დღევანდელ ხელისუფლებზე ნაკლები რით იყვნენ? იმით ხომ არა, რომ სამყოფ ხელფასს გვაძლევდნენ და პურსა და გადასახადებში რაღაც კაპიკებს გვახდევინებდნენ?**

— აი, სწორედ მაგან დაღუპა ქვეყანა. კაცს რომ სახელმწიფო ინახავს — მუქთად აჭმევს, მუქთად აცმევს, მუქთად მკურნალობს და ასწავლის — ის ქვეყანას აღარ გამოადგება. აბა, ნახეთ, თუ მე სახელმწიფო ხელფასს არ მაძლევს, ამიტომ მილიარდებს ვერ ვატრიალებ? რათ მინდა მაგათი მოცემული კუპონები, პირიქით, ხაზინას იქით ვაძლევ დოლარებს.

**— ეგ თქვენ, ბიზნესმენი, მაგრამ რა ქნან ჩემნაირმა მოხუცებმა, რომელთაც პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არა აქვთ?**

— ვინ თქვა, რომ არა აქვთ? ვერ გამიგია, რატომ შეჰყურებთ პენსიას, განა როდისმე გიფიქრიათ იმ ქონების ამოქმედებაზე, სოციალიზმის დროს ოჯახებში (მუთაქებში, ლეიბებში, ქვევრებში) რომ დაუგროვდათ?

**— ალბათ, სახელმწიფო ამას ანგარიშობს, როცა გადასახადებს და ფასებს ზრდის?**

— ზუსტად მიაგენით, ახლა თქვენ გეძლევათ დაგროვილი ქონების გამოყენების შესაძლებლობა (კომუნისტები ამის უფლებას არ იძლეოდნენ) და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ. სასიამოვნოა, რომ ბევრი პენსიონერი ამას პრაქტიკულად აკეთებს კიდეც — საოჯახო ნივთებს, ტანსაცმელს, ხაბა-ხუბას დოლარებად აქცევს, მცირე ბიზნესს ეწევა და უზრუნველად ცხოვრობს.

**— თქვენ რა, საითკენ მიბიძგებთ?**

— თანამედროვე ბიზნესისკენ. თქვენც თუ ისე მოიქცევით, საჭმელ-სასმელსაც იშოვით, გადასახდელებსაც გადაიხდით და ბანკში შესატანი დოლარებიც დაგრჩებათ.

**— მაგას ნუ გამაგონებთ.**

— რატომ, მუქთა დივიდენდი არ გიზიდავთ?

**— მეშინია.**

— ვისი?

**— საგადასახადო ინსპექციის. ის თუ ბანკში შევიდა, პრეზიდენტი გაიქცევა და დავიღუპები.**

— ნუ გეშინიათ, პოლიციას გადაწყვეტილი აქვს ახალი მეთოდით იმუშაოს.

**— როგორი მეთოდით?**

— ჯერ თვითონ შევიდეს ბანკში (კომპანიაში), პრეზიდენტი დაიჭიროს და მერე საგადასახადო ინსპექცია შეუშვას (დაჭერილთან მუშაობა გაცილებით იოლია).

**— ამის არა, მაგრამ ვაუჩერების იმედი უფრო მქონდა.**

— თუ გაზაფხულამდე მოიცდით, ვაუჩერებიც იქნება. თქვენ შეგიძლიათ ის რომელიმე სარფიან კომპანიაში დააბანდოთ და მოხუცებულობაში ხელი დიდ ქონებას გამოჰკრათ.

**— ღმერთმა გისმინოთ. მე კი ვფიქრობდი, რომ გადასახადებს ვერ გადავიხდიდი და დასაჭერი გავხდებოდი (მთელი ცხოვრება ნამუსიანად გავატარე და არ მსურდა სიბერეში დამნაშავე გავმხდარიყავი). მეგონა სახელმწიფო დანაშაულისაკენ მიბიძგებდა და თურმე ბიზნესისკენ კი მეწევა. ამაში ღრმად დავრწმუნდი, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი ათასობით კაცი ამას როგორ გაიგებს?**

* * *

თქვენ ნუ ინერვიულებთ, ვუთხარი, საუბარი სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე, გაზეთში გამოვაქვეყნებ და მთელ საქართველოს მოვფენ-მეთქი. ეს რომ გაიგო, ერთი ეგზემპლარი მეც შემინახეო, შემომეხვეწა ბატონი ექვთიმე. კი შევპირდი, მაგრამ შევასრულებ თუ არა, არ ვიცი. ბოლო დროს გაზეთი ისეთი მცირე ტირაჟით იბეჭდება, გამომცემლობას მთავრობაში გასაგზავნადაც არ ჰყოფნის. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას — შიგადაშიგ ვიპარავთ ხოლმე და ზოგჯერ გაზეთს ჟურნალისტებიც ვკითხულობთ.

**ოთარ ხუციშვილი.**

INTERCOLLEGE
CYPRUS: NICOSIA, LIMASSOL, LARNACA

ახალგაზრდებო, თქვენ გეძლევათ იშვიათი შესაძლებლობა ყველაზე იაფად მიიღოთ უმაღლესი განათლება, დაეუფლოთ სასურველ სპეციალობას საზღვარგარეთ.

კვიპროსის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გიწვევთ სასწავლებლად პრესტიჟული, თანამედროვე სპეციალობების დასაუფლებლად შეგიძლიათ აირჩიოთ:

- ბიზნესის მართვა ([illegible])
- [illegible]
- კომპიუტერული და ინფორმაციის მართვა
- სასტუმრო, ტურიზმის და მოგზაურობის მენეჯმენტი
- [illegible]
- [illegible] (გაზი, ნავთობი, ქიმია)
- [illegible] (ფსიქოლოგია და [illegible])
- დიზაინი

სწავლა ინგლისურ ენაზეა. მათ, ვინც სუსტად ფლობს ამ ენას, საშუალება ეძლევათ უნივერსიტეტშივე გაიარონ ენის შესწავლის გაძლიერებული კურსი. ფასი 1300 დოლარი.

სურვილის შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ ინგლისის, ჰოლანდიის, აშშ უნივერსიტეტებში.

სწავლის ფასი 3900 დოლარი წელიწადში. წარჩინებულ სტუდენტებს ეს გადასახადი უნახევრდებათ (1900 დოლარი). ეს შეღავათი მათ შეუნარჩუნდებათ აღნიშნული ქვეყნების უნივერსიტეტებში გადასვლის შემთხვევაშიც. ეს ნიშნავს, რომ კვიპროსის უნივერსიტეტიდან გადასულ სტუდენტს სწავლა 8-10-ჯერ იაფი უჯდება.

კვიპროსის საერთაშორისო უნივერსიტეტი აკრედიტებულია ცალკეულ ევროპის და აშშ წამყვან უნივერსიტეტებში და მის მიერ გაცემული დიპლომის მფლობელს უფლება აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იმუშაოს.

საბუთების შემოტანა სასწრაფოა!

მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ანაგის ქ. №7,
შრომის სასახლე, მე-8 სართული.
ცნობებისათვის დარეკეთ: 38-98-31; 39-48-28; 37-58-90.
კვიპროსის უნივერსიტეტ-ინტერკოლეჯის წარმომადგენლობა.

პირველად

### ეს უჩვეულო, საჭირო სკოლა

**ამ სკოლას** „საქართველოს სამთო გამყოლების სახელმწიფო სკოლა" ჰქვია.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს არჩილ ცინცაძეს უამბობს მისი დირექტორი **დავით რაქვიაშვილი:**

— საქართველოში სამთო გამყოლების ტრადიცია ახალი არ არის. უდაოდ მისასალმებელია რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 26 ივლისის დადგენილება თბილისში ასეთი სახელმწიფო სკოლის შექმნის შესახებ. რომელიც მართლაც პერსპექტიულია.

1991 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა სამთო გამყოლთა პირველი პროფესიული ორგანიზაცია — საქართველოს საგამყოლო სამსახური. სწორედ მან და შვეიცარიის სამთო გიდების სკოლამ შეიმუშავეს ერთობლივი პროექტი საქართველოში სამთო გამყოლების პროფესიული ორგანიზაციების შექმნა-განვითარების შესახებ.

1991–93 წლებში ჩვენმა სამთო ექსპერტებმა შვეიცარიის სამთო გიდების სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით ჩააბარეს გამოცდები და საერთაშორისო კ სის ატესტატები მიიღეს.

ასე რომ, სკოლას ჰყავს ევროპის დონეზე მომზადებული პროფესიონალები, რომლებიც აქ წავლიან. ჩვენი კურსდამთავრებული გამყოლი მიიღებს სამ გიდის საერთაშორისო სტანდ ტის სერთიფიკატს.

სამთო გამყოლის პროფე მინიჭების უფლება აქვს მხოლ ერთ, სახელმწიფოს სტატუ მქონე სამთო გამყოლის სკოლ ხოლო ამ სკოლის გაცემულ ლომს იცავს სახელმწიფო.

სკოლის მისამართია: 38000 თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 37

სამთო გამყოლების სკოლ სწავლება ფასიანია. ოღონდ დასაწყისში. სკოლა ეცდება ველმოქმედო ფონდებზე დაყრ ნობით გაიტანოს თავი.



### ვინ რამდენს დალევს?

**სასტუმრო „მეტეხში"** გერმანიის საელჩოს ინიციატივით გაიმართა „ლუდის დღესასწაული". მსგავსი დღესასწაულები გერმანიაში, ჩვეულებრივ, ოქტომბრის დამლევს იმართება.

სასტუმროს ლუდხანაში 800-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი, მოეწყო შეჯიბრება ლუდის სწრაფ სმაში.

გამარჯვებულებს ჯილდოები გადაეცათ.

**გია ჩხატარაშვილის**
ტექსტი და ფოტო.

## ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება საერთაშორისო ოსტატი ვლადიმერ კალანდაძე

### გენიოსთა შერკინება

**მსოფლიოს** გამოჩენილ ეტიუდისტთა შორის გერმან მატისონს (1894-1932) ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, თავისი შემოქმედებით მან წარუშლელი კვალი დატოვა საეტიუდო ხელოვნებაში. მატისონის გამოქვეყნებული ეტიუდების რაოდენობა მართალია 60-ს არ აჭარბებს, მაგრამ ბევრი მათგანი შესულია საკომპოზიციო ხელოვნების ოქროს ფონდში.

გერმან მატისონი ძლიერი პრაქტიკოსი მოჭადრაკეც იყო, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. 1924 წელს პარიზში გაიმართა საჭადრაკო ოლიმპიადა მოყვარულ მოჭადრაკეთა შორის, სადაც მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მატისონმა ბრწყინვალედ ისპარეზა ლატვიელთა გუნდის პირველ დაფაზე 1931 წელს, პრაღის ოლიმპიადაზე.

დაამარცხა ისეთი საჭადრაკო ტიტანები, როგორიც იყვნენ ალიოხინი, რუბინშტეინი, ვიდმარი, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ბოგოლიუბოვთან, ფლორთან, შტალბერგთან.



№ 1 დიაგრამაზე გთავაზობთ მატისონ-ალიოხინის პარტიის დაბოლოებას 24-ე სვლის შემდეგ, რომელიც მატისონმა ვირტუოზულად წარმართა: 24 ... h5 25. მფe4! hg 26. ეg1 ე5d7 27. ე:g4 ეe7 28. მფf3 b5 29. ეg2 ეd5 30. ეgd2 მფf7 31. h5 კ:d4 32. ე:d4 ე:f5 33. ეd5 ეee5 34. ეd7+ ეe7 35. ე1d5 ე:d5 36. ე:d5 a6 37. ეd6 ეe6 38. ე:e6 მფ:e6 39. მფc4 მფd6 40. მფf5 მფe7 41. მფg6 მფf8 42. f5 და ალიოხინი დანებდა.

გერმან მატისონი საეტიუდო ხელოვნებაში შევიდა, როგორც თავისი დროის უდიდესი ეტიუდისტი-კლასიკოსი. დიდოსტატმა ტარტაკოვერმა მას მსოფლიო ჩემპიონი უწოდა ეტიუდისტთა შორის. მისი ეტიუდები გამოირჩევა ღრმა შინაარსით, მახვილგონივრული კომბინაციებით, მიმზიდველი დინამიკური თამაშით, რომელიც ხშირად წარმოდგენილია დახვეწილი კლასიკური ფორმით. ამის ნათელი დასტურია № 2 დიაგრამაზე გამოსახული ეტიუდი, სადაც თეთრები იგებენ ეტლისა და მეფის შეთანხმებული მანევრების წყალობით. ბრძოლა ხანმოკლეა, მაგრამ დრამატიზმით და სიმძაფრით გამოირჩევა. ვფიქრობთ, მისი ამოხსნა დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს ჩვენს მკითხველებს.



მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible]